ახალი განათლება

10-16.05.2018

№16 (810) გაგრძელება 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ დასახული მიზნების მიღწევას

მიხეილ ჩხენკელმა საზოგადოებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამოქმედო გეგმა წარუდგინა

გვერდი 2

პირველი კვლევა მაუთჰაუზენის ქართველ ტყვეებზე

მარიკა ბექაური და სალომე სალაძე გვესაუბრებიან პროექტის შესახებ, რომელმაც მაუთჰაუზენში გარდაცვლილი ქართველი ტყვეების ისტორიები გააცოცხლა და საჯაროდ გამოიტანა.

გვერდი 4

აბიტურიენტი

სასკოლო განათლება მხოლოდ გამოცდებზე ორიენტირებული არ უნდა იყოს

გვერდი 8

არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის



ს ი ა ხ ლ ე

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად, „ახალი განათლების“ ფიგნის თარო, 1 მაისიდან, შემოგთავაზებთ სპეციალურად არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის, გამოცემულ კრებულებს „მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით“.

დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

ფასი – 9 ლარი

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

Կարևոր հարցեր պատասխաններով

გვერდი 6

სამოქმედო გეგმა

ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ დასახული მიზნების მიღწევას

„12 ნაბიჯი ხარისხიანი განათლებისკენ“ – ასე ჰქვია სამოქმედო გეგმას, რომელიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **მიხეილ ჩხენკელმა** განათლების სფეროს წარმომადგენლებს, მოწვეულ სტუმრებსა და მედიას გააცნო. მან დეტალურად ისაუბრა უკვე მიმდინარე თუ სამომავლოდ დაგეგმილ რეფორმებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე, პარტნიორებთან კავშირების გაღრმავების პერსპექტივებზე. განაცხადა, რომ სამოქმედო გეგმა განათლების ყველა დონეზე ხარისხის ამაღლებას ემსახურება, რაც მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი ნაწილია და გარკვეული კომპონენტების განხორციელება უკვე დაწყებულია. *„დღევანდელი პრეზენტაციის და ზოგადად, ჩვენი სამინისტროს სტრატეგიის ამოსავალი პრინციპი გახლავთ ხარისხი, ხარისხზე ზრუნვა. ეს ეხება განათლების ყველა საფეხურს, მეცნიერებას და ახალგაზრდობის მიმართულებას.“*

ზოგად განათლებაზე საუბარი მიხეილ ჩხენკელმა მასწავლებლებით დაიწყო და აღნიშნა, რომ ხარისხის მთავარი განმახორციელებელი, მთავარი პიროვნება, რომელზეც დამოკიდებულია სკოლებში მაღალხარისხიანი გაკვეთილები და განათლების სისტემა, სწორედ მაღალკვალიფიციური მასწავლებელია. საბედნიეროდ, ბრწყინვალე მასწავლებლები გვყავს და ყოველ მათგანს მიეცემა შესაძლებლობა, საგრძნობლად აიმაღლოს კვალიფიკაცია. ზაფხულში დაიწყება სპეციალური ტრენინგები, სადაც ფოკუსირება მოხდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე, კერძოდ, იმ პედაგოგიურ ილეთებსა და ახალ იდეებზე პედაგოგიკაში, რაც მათ დაეხმარება, ტრენინგზე მიღებული ინფორმაცია საკლასო ოთახამდე მიიტანონ, სადაც ხდება მთავარი – მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

როდესაც ხარისხიან განათლებაზე ვსაუბრობთ სკოლებში, არანაკლებ მიშვნელოვანია **ხარისხიანი სახელმძღვანელოების** საკითხი. *„სულ რამდენიმე დღეში დასრულდება ახალი სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი. ეს ეხება პირველიდან მეექვსე კლასების ჩათვლით სახელმძღვანელოებს და სექტემბრიდან ახალი, სერიოზულად გაუმჯობესებული სახელმძღვანელოები შევა სკოლებში. გაუმჯობესება წონის კუთხითაც მოხდა, რადგან სახელმძღვანელოები ბავშვებისთვის ტვირთს არ უნდა წარმოადგენდეს. რაც მთავარია, გაუმჯობესდა შინაარსი.*

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, გამოცხადდება გრიფირების პროცესი მეშვიდედან მეცხრე კლასის ჩათვლით სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით და ორი წლის შემდეგ – უკვე მეათე-მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასებში. შესაბამისად, ორ წელიწადში, სრულად გამოიცვლება სასკოლო სახელმძღვანელოები და მათი ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდება.“

მოზარდებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარება ყველაზე მთავარია, რაც სკოლაში უნდა ხდებოდეს, განაცხადა განათლების მინისტრმა. რასაკვირველია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის მიღებას, მაგრამ მთავარია შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბება. შესაბამისად, გაკვეთილებიც ამაზე უნდა იყოს კონცენტრირებული. მან დეტალურად ისაუბრა პროექტ „ევრიკას“ შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყება და საუნივერსიტეტო სივრცეს სკოლებთან დააკავშირებს. *„ვთხოვეთ ჩვენს წამყვან პროფესორებს, გამოჩენილ მეცნიერებს, ბრწყინვალე პედაგოგებს, რომ დამატებითი, ონლაინ გაკვეთილები ჩაუტარონ მოსწავლეებს. პროექტი მთელ საქართველოს მოიცავს, 2085-ივე საჯარო სკოლაში, ასევე, კერძო სკოლებში, ონლაინ რეჟიმში, ლაივ სტრიმით, სპეციალური გაკვეთილები ჩატარდება. სპეციალური ხასიათი კი იმაში მდგომარეობს, რომ პროფესორები, ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე, მოყვებიან თავიანთი დარგების ხიბლს, სილამაზეს, რატომ აირჩიეს თვითონ ესა თუ ის პროფესია. ყველა დარგს თავისი სილამაზე აქვს, თავისი უნიკალური მხარე და სწორედ ამას დაანახებენ ბავშვებს იმისთვის, რომ მოსწავლეებში გაიღვიძოს მეცნიერებისადმი, ფიქრისადმი, ინტელექტუალური შრომისადმი სიყვარულმა. ჩემს გამოსვლებში ძალიან ხშირად ვიმეორებ ჩემს ერთ-ერთ საყვარელ ფრაზას, რომელიც დიდ პლუტარქეს ეკუთვნის. მან ბრძანა, რომ გონება არ არის ჭურჭელი, რომელიც უნდა აავსო, ეს არის ცეცხლი, რომელიც უნდა დაანთო. სწორედ ეს იქნება მთავარი ფილოსოფია, რითიც იქნება გაჟღენთილი პროექტი „ევრიკა“.*

ვირტუალური ტექნოლოგიების დანერგვა უაღრესად მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნის სკოლებში. თანამედროვე ბავშვები უკვე სხვანაირად ითვისებენ მასალას, სხვა ინტერესები აქვთ და ამ მიმართულებით განათლების სამინისტროს ბევრი გეგმა აქვს. ერთ-ერთია მაიკროსოფტთან დაგეგმილი თანამშრომლობა. *„მაიკროსოფტის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შედეგად, საშუალება გვექნება, სრულიად უფასოდ, ჩვენს სკოლებში დავნერგოთ მაიკროსოფტის ერთ-ერთი ძალიან საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამა – მაინკრაფტის საგანმანათლებლო ვერსია. მაიკროსოფტმა, ძალიან პოპულარული თამაშის საფუძველზე, შექმნა საგანმანათლებლო ვერსია, რომელიც შემოქმედებითი აზროვნებისთვის ძალიან ფართო ასპარეზს ქმნის ბავშვებისთვის. ამ პროდუქტის გამოყენება შეიძლება როგორც ტექნიკურ, ასევე ჰუმანიტარულ საგნებში“.* პროგრამა საშუალებას აძლევს ბავშვებს, ჯგუფურად იმუშაონ ძალიან საინტერესო შემოქმედებით პროექტებზე. ამჟამად მიმდინარეობს მაინკრაფტის საგანმანათლებლო ვერსიის გადმოქართულება და სექტებრიდან, პილოტირების რეჟიმში, პროგრამა რამდენიმე სკოლაში დაინერგება, შემდეგ გავრცელდება ყველა სკოლაში.

სოფლის სკოლების ახალი სიცოცხლე უაღრესად მნიშვნელოვანია. განათლების სამინისტრომ მიიღო, შეიძლება ითქვას, სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომ სოფლის სკოლები გახდეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები თითოეულ სოფელში. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, სოფლის მოსახლეობას, თუ ამის სურვილი ექნება, შეეძლება განათლების გაგრძელება, ცოდნის გაღრმავება სხვადასხვა დარგში. აქ გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, სოფლის მოსახლეობა ჩართული იქნება სკოლის ცხოვრებაში. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპი სწორედ ამ გზით დამკვიდრდება სოფლის სკოლებში.

რაც შეეხება ახალი სკოლების აშენებარეაბილიტაციას, მიმდინარე სასწავლო წელს, 150 სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, 24 ახალი სკოლა შენდება, რომელთაგან 23 წელსვე დასრულდება და რასაკვირველია, პროცესი გაგრძელდება, ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობით.

ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა, ზოგადი განათლების მიმართულებით, **უსაფრთხო, პოზიტიური სასკოლო გარემოს** შექმნაა. მთავრობის მიერ ინიცირებული იყო მნიშვნელოვანი კანონი მანდატურების შესახებ, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებების ერთობლივი მუშაობის შედეგია. ამ ცვლილების რეალური მიზანია **გაუმჯობესებული მანდატურის სამსახური**, მაღალი კვალიფიკაციის მქონე მანდატური, გარანტორი იმისა, რომ სკოლაში აუცილებლად იქნება უსაფრთხო გარემო.

მინისტრმა, **ფსიქოლოგიურ სამსახურზე**, როგორც ამ პრობლემის მოგვარების უაღრესად მნიშვნელოვან კომპონენტზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის სიღრმისეული პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს განათლების სისტემაში, კერძოდ, ბულინგთან ან აგრესიასთან დაკავშირებული საკითხები სკოლაში, მხოლოდ მანდატურის სამსახურის ჩარევით და ძალისმიერი მეთოდებით ვერ გადაწყდება. *„ფსიქოლოგების არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტია და ჩვენი მიზანია, ყველა სკოლას ჰყავდეს მაღალი კვალიფიკაციის ფსიქოლოგი. ამჟამად, დიდ სკოლებში გვყავს ფსიქოლოგები, იქ კი, სადაც ჯერჯერობით კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა, მობილური ჯგუფები მუშაობენ. ჩვენ მივმართეთ უნივერსიტეტებს და ფსიქოლოგიის მიმართულების მაგისტრანტები და დოქტორანტები აქტიურად არიან ჩართული ამ პროცესში. ასევე, ამოქმედებულია 24-საათიანი ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზი, რაც ხელს უწყობს იმას, რომ თავი ავარიდოთ ექსცესებს და აგრესიის სხვადასხვა ფორმით გამოვლინებებს“.*

მიხეილ ჩხენკელი სკოლებში პოზიტიური სასკოლო გარემოს შესაქმნელად საჭიროდ მიიჩნევს საინფორმაციო კამპანიების წარმოებას სკოლაში, ამბობს, რომ ინფორმაციის გავრცელებაა სწორედ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, რითაც უნდა მოხდეს აგრესიის დონის დაწევა. *„მრავალი შეხვედრა გვქონდა წამყვან ფსიქოლოგებთან და, მათთან ერთად შევიმუშავეთ კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც ფლაერების სახით დაურიგდა სკოლებს. სამი ტიპის ფლაერია: რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის, რეკომენდაციები მოსწავლეებისთვის და რეკომენდაციები მშობლებისთვის. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა მშობლების, ოჯახების ჩართულობას. ბულინგის აღმოსაფხვრელად ეს აუცილებელი კომპონენტია და ამასთან დაკავშირებით, **კონტრაქტები მშობლებთან** იქნება ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება“.* სექტემბრიდან, სკოლასა და მშობელს შორის დაიდება კონტრაქტი, სადაც გაწერილი იქნება უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები, რომელიც თითოეულ მხარეს აქვს, ახალი მიდგომა ასეთია – სკოლის ხელმძღვანელები, მანდატურები და მშობლები ერთი გუნდია და გუნდის მთავარი მიზანია ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოზე ზრუნვა.

*„განსაკუთრებით მინდა გამოვყო პროგრამა **„მოვუსმინოთ მოსწავლეებს“**, რომელიც ბატონი პრემიერ-მინისტრის ინიციატივა გახლავთ. პირადად მე და ჩემი კოლეგები უკვე ძალიან ბევრ მოსწავლეს შევხვდით. ახალგაზრდებისგან ინფორმაციის მიღება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ამ შეხვედრების დროს გამოიკვეთა მათი ხედვა. ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი როლი ბულინგის აღმოსაფხვრელად და აგრესიის დონის დასაწევად. ჩვენს სტრატეგიაში მათი აზრიც გავითვალისწინეთ. შეხვედრებს მომავალშიც გავაგძელებთ, მოვუსმენთ მოსწავლეებს და გავიგებთ, როგორ ხედავენ ისინი არსებულ პრობლემატიკას“.*

ბულინგის დასაძლევად არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევს განათლების მინისტრი სპორტული და შემოქმედებითი აქტივობების წახალისებას. მოსწავლეების მთელი ენერგია უნდა იხარჯებოდეს სწავლაში, შემოქმედებით აქტივობებსა და სპორტში. *„ჩვენს სამინისტროსა და კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით, დაიწყო ძალიან ფართომასშტაბიანი სპორტული კამპანია – შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სხეობაში, სადაც ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა. გაორმაგდა სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და იმის შემდეგ, რაც შეჯიბრებები გაიმართება სკოლის შიგნით და სკოლებს შორის, ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატი და საუკეთესოებს შესაძლებლობა ექნებათ, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, უცხოელ თანატოლებს შეეჯიბრონ.*

ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტების, ახალგაზრდების ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში. ჩვენ უკვე მივმართეთ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, რომ მათ შეფობა აიღონ სკოლებზე, კლასებზე და ჩართონ ისინი როგორც სპორტულ, ასევე შემოქმედებით აქტივობებში. ეს ინიციატივა მოსწავლეების მხრიდანაც ძალიან პოზიტიურად იქნა მიღებული და, ცხადია, სტუდენტებიც ენთუზიაზმით სავსენი არიან, ასე რომ, ძალიან საინტერესო პროგრამა იქნება და იმედია, დაგვეხმარება ზოგადად სკოლაში აგრესიის დამარცხების საქმეში“.

უმაღლესი პროფესიული განათლება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აქ მთავარი გამოწვევა ფსიქოლოგიური ხასიათისაა, მშობლების დიდი ნაწილი მცდარად ფიქრობს, მისმა შვილმა წარმატებას რომ მიაღწიოს, აუცილებელია უმაღლესი განათლების დიპლომი. ეს რომ ასე არ არის, მრავალი ქვეყნის მაგალითმა თვალნათლივ გვაჩვენა, ისეთი ქვეყნების, როგორებიცაა: გერმანია, ავსტრია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.

„საბედნიეროდ, გვაქვს ძალიან ბევრი წარმატებული კოლეჯი, რომელთა კურსდამთავრებულები მშვენივრად დასაქმდნენ, აქვთ ღირსეული ანაზღაურება და, რაც მთავარია, შრომის ბაზარი რეალურად ითხოვს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს. როგორ დავამარცხოთ ფსიქოლოგიური განწყობა და როგორ გადავლახოთ ეს ბარიერი? პირველი – უნივერსიტეტების წიაღში დავაარსებთ პროფესიულ კოლეჯებს და როდესაც სტუდენტი კოლეჯში წავა, რეალურად, საუნივერსიტეტო სივრცეში აღმოჩნდება, ისარგებლებს ყველა იმ სიკეთით, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტს აქვს და ამ სივრცის სრულფასოვანი წევრი გახდება, პროფესიულ მომზადებას უნივერსიტეტის „ქოლგის“ ქვეშ გაივლის.

რამდენიმე კვირის წინ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავაარსეთ მედიახელოვნების კოლეჯი, რომელიც ვიცი, რომ ძალიან პოპულარულია და ძალიან წარმატებულიც იქნება; სულ ცოტა ხანში, ბიზნესტექნოლოგიების უნივერსიტეტში, შეიქმნება IT ტექნოლოგიების კოლეჯი, სადაც აქტიურად არიან ჩართული ისეთი კომპანიები, როგორებიცაა: მაიკროსოფტი, აიბიემი, ეიჩბი და სხვ. მათი უშუალო მონაწილეობით, მართლაც ძალიან საინტერესო პროექტი განხორციელდება; ასევე, ძალიან დიდი გეგმები გვაქვს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში აგრარული კოლეჯის გახსნის მიმართულებით. უკვე ვესაუბრეთ გერმანელ კოლეგებს, კერძოდ ჯიაიზეტ-ს და, მათი დახმარებით, მომავალი კოლეჯი ბავარიის ერთ-ერთ აგრარულ კოლეჯს დაუკავშირდება. მალე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში, გერმანულ მოდელზე აგებული აგრარული კოლეჯი გაიხსნება“.

პროფესიული განათლების უპირატესობა სწორედ დასაქმებაზე ორიენტაციაა, რაც მეორე პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა მიხეილ ჩხენკელმა. პროფესიულ კოლეჯებში სტუდენტთა მოზიდვას აუცილებლად შეუწყობს ხელს **კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა** და **კერძო კომპანიების ბაზაზე პროფესიული კოლეჯების დაფუძნება**. ყველაზე კარგად თვითონ ბიზნესმა იცის, რა პრაქტიკული უნარ-ჩვევები სჭირდება ამა თუ იმ ბიზნესს. ეს პირდაპირაა დაკავშირებული კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას-

სამოქმედო გეგმა

თან – **რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებასთან**, რადგან რეგიონებში არსებულ კომპანიების, რომლებსაც კვალიფიციური სპეციალისტები სჭირდებათ, თავიანთ ბაზაზე შეძლებენ კოლეჯის დაფუძნებას. განათლების სამინისტრო, რასაკვირველია, ამაში ყოველმხრივ დაეხმარება. საუკეთესო კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ, ამავე კომპანიებში დასაქმდნენ, რაც, ბუნებრივია, სტუდენტთა რაოდენობას გაზრდის.

მინისტრმა დუალური განათლების პრინციპზეც ისაუბრა, რომელიც პირდაპირ შესაბამისობაშია ევროსტანდარტთან და ევროპულ ქვეყნებს, ამ კუთხით, დიდი გამოცდილება აქვთ. პარლამენტში შესულია უაღრესად მნიშვნელოვანი კანონპროექტი პროფესიული განათლების შესახებ. *„პირველად საქართველოს ისტორიაში, გვექნება კანონი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ დაარეგულირებს პროფესიული განათლების სისტემას. დუალურ განათლებას, ანუ სამუშაოზე დაფუძნებულ განათლებას, ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი უჭირავს კანონში და რასაკვირველია, ამ მიმართულებით გავაგრძელებთ მუშაობას.*

და მესამე მიმართულება, რომელიც, ასევე, დარწმუნებული ვარ, გაზრდის სტუდენტთა რაოდენობას პროფესიულ სასწავლებლებში, სწავლების ინტერნაციონალიზაციაა, ის სიკეთე, რომლითაც უნივერსიტეტების სტუდენტები დიდი ხანია სარგებლობდნენ, კერძოდ, გაცვლითი პროგრამები, რაც პროფესიულ სასწავლებლებში არ არსებობდა. ჩვენ ვიწყებთ ამ მიმართულებით სვლას, უკვე წარმატებული და შედეგიანი მოლაპარაკებები გვქონდა დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და ავსტრიის კოლეჯებთან, რომლებმაც დიდი ენთუზიაზმით გამოთქვეს მზაობა, მიიღონ ჩვენი სტუდენტები, ასევე პროფესიული სასწავლებლების პედაგოგები. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება მათი განათლებისთვის და დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს კომპონენტიც გაზრდის სტუდენტთა რაოდენობას, რადგან მათ ეცოდინებათ, რომ პროფესიულ სასწავლებელს ეს დამატებითი სიკეთეც აქვს – ***ინტერნაციონალიზაცია, უცხოეთში პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობა*** *და* ***მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამები“.***

უმაღლესი განათლების მიმართულებით, მინისტრმა რამდენიმე კომპონენტზე გაამახვილა ყურადღება. *„ხარისხზე ზრუნვა ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტია. სახელმწიფომ სრული სიმართლე უნდა უთხრას ყველა სტუდენტს, ყველა აბიტურიენტს, მათ მშობლებს. ეს სიმართლე მდგომარეობს იმაში, რომ მხოლოდ ის უმაღლესი სასწავლებლები მიიღებენ ავტორიზაციას, რომლებსაც მაღალი აკადემიური სტანდარტი აქვთ“.*

წელს მრავალი უნივერსიტეტი გაივლის გეგმურ ავტორიზაციას, დაინერგა ახალი, ევროპული სტანდარტები. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებში ევროპელი ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას, როგორც კომისიის თავმჯდომარეები, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ პროცესი ობიექტური და გამჭვირვალე იქნება. განახლდა ქართველი ექსპერტების კორპუსიც. რამდენიმე უნივერსიტეტში უკვე ჩატარდა არაგეგმური მონიტორინგი და სამ უმაღლეს სასწავლებელს შეუჩერდა ავტორიზაცია. *„არც ერთი სტუდენტი არ დაზარალდა, ყველას მიეცა შესაძლებლობა, სპეციალური მობილობით, გადასულიყო იმ უმაღლესში, სადაც სწავლების მაღალი ხარისხია. პირადად შევხვდი ყველა სტუდენტს იმ უნივერსიტეტებიდან, რომელთაც ავტორიზაცია შეუჩერდათ და მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბედნიერები და მადლიერები იყვნენ, რომ მიეცათ საშუალება, ისწავლონ ისეთ უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთაც მაღალი აკადემიური ხარისხი აქვთ. ჩვენი მთავარი მიზანია მსოფლიო სტანდარტების მიღწევა და ქართული უნივერსიტეტების წინსვლა ყველა მიმართულებით“.*

უნივერსიტეტების განვითარების ხელშეწყობისთვის აუცილებელია უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის, კერძოდ სამეცნიერო კვლევითი ინფრასტრუქტურის სერიოზული განვითარება (საუბარია როგორც კომპიუტერულ, ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებზე); საერთაშორისო კონფერენციებში უფრო მეტი ჩართულობა; უცხოელი პროფესორების მოწვევა. ყველაფერ ამას სჭირდება ფინანსები. შესაბამისად, შესაცვლელი და გასაუმჯობესებელია უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელი. განათლების სამინისტრო, მსოფლიო ბანკთან ერთად, მუშაობს დაფინანსების ახალ მოდელზე. როცა მზად იქნება რამდენიმე პროექტი, საჯარო განხილვა დაიწყება, ჩაერთვებიან როგორც უნივერსიტეტების ხელმძღვანელები, ასევე პროფესორ-მასწავლებლები, საზოგადოება. *„საგრძნობი წინსვლა რომ გვქონდეს, აუცილებელია უნივერსიტეტების საბაზისო დაფინანსება. სწორედ საბაზისო დაფინანსების საფუძველზე, შესაძლებელი იქნება, რომ უნივერსიტეტები სერიოზულად განვითარდნენ როგორც სამეცნიერო კვლევითი, ასევე სასწავლო, ზოგადად აკადემიური კუთხით.“*

მეცნიერების მხარდაჭერა კიდევ ერთი პრიორიტეტია. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ყოველწლიურად (წელს უკვე დაიწყო), აცხადებს საგრანტო კონკურსებს როგორც ფუნდამენტურ, ასევე გამოყენებით კვლევებში. ორივე მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანია.

„დღესვე უნდა ვიზრუნოთ მეცნიერების ხვალინდელ დღეზე. შესაბამისად, ახალგაზრდა მეცნიერებს სრულყოფილი სივრცე და ასპარეზი უნდა შევუქმნათ, რომ სერიოზული განვითარება შეძლონ. ამ მიმართულებით, როგორც სამინისტრომ, ასევე რუსთაველის ფონდმა ცალკე საგრანტო კონკურსები გამოაცხადა, სპეციალურად ახალგაზრდა მეცნიერებისთვის. რასაკვირველია, მათ დიდ საგრანტო კონკურსებშიც შეუძლიათ მონაწილეობა.“

უცხოეთის ფონდებთან, სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე საუბრისას, მინისტრმა „ჰორიზონტ 2020“-ის პროგრამაზეც ისაუბრა და დამსწრე საზოგადოებას დაგეგმილი სიახლეებიც გააცნო.

ქოსტი (Cost) მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის ევროპული ასოციაციაა. *„რამდენიმე დღის წინ, შევხვდი მის პრეზიდენტს და მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ საქართველო გახდება Cost-ასოციაციის წევრი, რაც ძალიან დიდ ასპარეზს ქმნის ჩვენი მეცნიერებისთვის, მკვლევრებისთვის როგორც მეცნიერების დაფინანსების კუთხით, ასევე იმ თვალსაზრისით, რომ მათ შესაძლებლობა ექნებათ, ევროპელ კოლეგებთან ერთად, აქტიურად ჩაერთონ სამეცნიერო კვლევით პროცესში“.*

სულ ცოტა ხანში, თბილისში, გაიხსნება აკადემია „ევროპეას“ ჰაბი, ეს გახლავთ ევროპული სამეცნიერო კვლევითი აკადემია, რომელსაც უაღრესად საინტერესო პროექტები აქვს, თავისი საგრანტო დაფინანსებით. აკადემიას აქვს ცალკე სექცია ახალგაზრდა მეცნიერებისთვის, მათთვის ეს დამატებითი ასპარეზი იქნება.

„მალე საქართველო ცერნის ასოცირებული წევრი გახდება. ძალიან ინტენსიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით. მოგეხსენებათ, ცერნში, უკვე წლების განმავლობაში, მუშაობენ სახელოვანი, უნიჭიერესი ქართველი მეცნიერები, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ ასოცირებული წევრები გავხდებით, მათ შესაძლებლობა ექნებათ ცერნში კვლევები უკვე საქართველოს სახელით გააგრძელონ. იქ იფრიალებს საქართველოს დროშა. მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, თავიანთი კვლევის ნაწილი ცერნში შეასრულონ. დოქტორანტებს უფრო მეტიც – დისერტაციები დაიცვან ცერნში“.

არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე საუბრით დასრულდა სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია. მინისტრმა აღნიშნა, რომ სამინისტრო ხელს შეუწყობს სეზონური სამეცნიერო სკოლების ფუნქციონირებას; გაიზრდება ხელმისაწვდომობა ახალგაზრდულ და მოსწავლეთა ბანაკებზე. ბანაკების ინტერნაციონალიზაცია ხელს შეუწყობს ახალგაზრდების უცხოელ თანატოლებთან დამეგობრებას და ახალგაზრდული დიპლომატიის განვითარებას.

მიხეილ ჩხენკელმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მეგობარ ქვეყნებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ამ პროექტების განხორციელების კუთხით, თანადგომას უწევენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. *„დარწმუნებული ვარ, ჩვენი, ყველას ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ დასახული მიზნების მიღწევას და ხარისხის გაუმჯობესებას განათლებასა და მეცნიერებაში“.*

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

ბიზნესის მართვის კათედრა

➢ 3 პროფესორი

ჟურნალისტიკის კათედრა

➢ 2 პროფესორი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

➢ 3 პროფესორი

ინფორმატიკის კათედრა

➢ 1 პროფესორი

სამართლის ფაკულტეტი

საჯარო სამართლის კათედრა

➢ 1 პროფესორი

საბუთების მიღება იწარმოებს:

2018 წლის 05 ივნისიდან 2018 წლის 13 ივნისის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 25 ივნისს.

კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2018 წლის 29 ივნისს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtuni.edu.ge ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 2 661 512; 2 246 590; 2 246 591

ახალი წიგნი

თქვენი ვარ შვილი



ჩემო ძვირფასო მკითხველებო! ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180-ე წლისთავის აღსანიშნავად გამოიცა მშვენიერი წიგნი სახელწოდებით – „თქვენი ვარ შვილი“, რომლის ავტორები არიან: **გალინა ხარებაშვილი, ვალერიან ზურაშვილი** და **მანანა ყიფიანი.** ეს ახალი გამოცემა სრულყოფილად ასახავს ბრძენკაცის ცხოვრებას, შემოქმედებასა და მოღვაწეობას.

კახეთი და კერძოდ ყვარელი ღვინის სამშობლოდაა ცნობილი. ამ წიგნში მრავალ ინფორმაციას შეხვდებით აღნიშნული ფაქტის შესახებაც. გაეცნობით როგორც ილიას დროინდელ, ასევე თანამედროვე კახეთის რაიონებსა და მიღწევებს. წიგნი დამშვენებულია ამ კუთხეში არსებული უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული, ისტორიული, საეკლესიო ძეგლების ილუსტრაციებით.

ცნობილი ფაქტია, რომ ძველად ქართველ ქალს მზითვად „ვეფხისტყაოსანს“ ატანდნენ. პირადად მე, მიმაჩნია, რომ დღეს სწორედ იგივე მისია უნდა შეასრულოს ამ წიგნმა. ის არა მარტო ქალს უნდა გაატანოს ოჯახმა, არამედ რძალსაც დაახვედროს იმიტომ, რომ საქართველოს და ქართველობას დღეს ყველაზე მეტად სჭირდება ილიას გზითა და ილიას სიბრძნით სიარული, მომავალი თაობების მის იდეებზე აღზრდა.

ილია გვარიგებდა, გვაფრთხილებდა, გვმოძღვრავდა და ასეა დღესაც. ერთ-ერთ პუბლიკაციაში იგი წერს: *„უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირს ვდგევართ და საკმაოა, ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედა ბუდიანად“.*

სამწუხაროდ, ეს თხრილები აწმყოშიც არის და ალბათ, მომავალშიც იქნება. გადასარჩენად კი *„არსებობს ერთი სკოლა, რომლის დამთავრებაც არაა სასურველი, პირიქით, ამ სკოლაში და მის კედლებში მთელი ცხოვრება უნდა გაატარო, ეს სკოლა ილია ჭავჭავაძეა“.*

სწორედ ეს წიგნი დაარწმუნებს მკითხველს, რომ ერთადერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა შრომა, გარჯა, ცოდნა და ხერხია, ამავე დროს, გვმოძღვრავს წიგნი, თუ როგორ უნდა შევძლოთ, რომ ყოველთვის „დროთა ჩარხზე გაჩარხულნი“ ვიყოთ.

წიგნი „თქვენი ვარ შვილი“ არა მხოლოდ უნდა წავიკითხოთ, არამედ უნდა ვისწავლოთ და კიდევ ერთხელ ვირწმუნოთ, რომ ნეხევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე ილიას არ დარჩენია ქვეყნის ცხოვრებაში, პრაქტიკულად, არც ერთი სფერო და უბანი, რომელშიც არ ჩაეხედოს, არ გაეანალიზებინოს, გამოსავალი არ მოეძებნოს.

ეს, ფერადი ილუსტრაციებით, ქართულ-ინგლისური ინფორმაციებით სავსე წიგნი ყველა ოჯახს უნდა ამშვენებდეს. ის, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი ცხოვრების გზამკვლევია.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლიერება გამოვხატო წიგნის რედაქტორების – **თამაზ ტყემალაძისა** და **დავით ლაფაჩიშვილის** მიმართ, ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებმაც უდიდესი შრომა გასწიეს ამ მართლაც საუკეთესო წიგნის დღის სინათლეზე გამოსატანად, ქართველობას და არა მხოლოდ ქართველობას შესთავაზეს ერის სულიერი მამის კიდევ ერთხელ გაცნობის და დაფასების საშუალება.

ზეინაბ ჭიჭიკოშვილი
დამსახურებული პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილის მედლის ორგზის კავალერი, ყვარლის საპატიო მოქალაქე

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

პირველი კვლევა მაუთჰაუზენის ქართველ ტყვეებზე

„ქერჩის ბრძოლების დამთავრების შემდეგ, შეწყდა მიმოწერა ბაბუასა და ოჯახს შორის. შეტყობინება მისი სიკვდილის შესახებ არ მოსულა და ამიტომ ყველა ამ იმედს იყო ჩაბღაუჭებული, იქნებ სადმე ცოცხალი ყოფილიყო.“ – იასონ და ელიზა ტყეშელაშვილები

„...ბებიას და ბაბუას მშობლებს აცნობეს, რომ ბაბუა ჟენევაში გარდაიცვალა. დღემდე ასე ვიცოდით. იმდენი ვიტირეთ მე და ჩემმა დამ, როცა თქვენი სტატია წავიკითხეთ და სიაში ბაბუას სახელი და გვარი ამოვიკითხეთ.“ – მანანა წოწორია

ეს წერილები მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების შათამომავლებს ეკუთვნით, რომლებიც, სულ რამდენიმე ხნის წინ, ავსტრიაში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა, მარიკა ბექაურმა და სალომე სალაძემ, აღმოაჩინეს.

მაუთჰაუზენის ქართველი ტყვეები ორი სტუდენტი გოგონას ყურადღების ქვეშ ერთ-ერთი ექსკურსიის დროს მოექცნენ, როცა მათ ელექტრონულ დაფაზე ქართულად ამოტვიფრული ქართველი ჯარისკაცების სახელები და გვარები ამოიკითხეს. სურვილი გაუჩნდათ, ბანაკის ტერიტორიაზე, ათეულობით ქვეყნის მემორიალურ დაფებს შორის, ქართული მემორიალიც გაჩენილიყო და გამოეკვლიათ იმ ქართველი ჯარისკაცების ვინაობა, რომლებმაც სიცოცხლე ავსტრიის ტერიტორიაზე განთავსებულ, სისასტიკით ცნობილ ბანაკში დაასრულეს, ბანაკში, რომელშიც 1938-1945 წლებში, დაახლოებით 190 000 ადამიანი იმყოფებოდა ტყვეობაში, მათგან 90 000-მდე მკაცრ რეჟიმს შეეწირა.

მარიკა და სალომე საუბრობენ პროექტის შესახებ, რომელმაც მაუთჰაუზენში გარდაცვლილი ქართველი ტყვეების ისტორიები გააცოცხლა და საჯაროდ გამოიტანა.

მარიკა ბექაური

- ბაკალავრის ხარისხი – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის მიმართულებით;
- მაგისტრის ხარისხი – ავსტრიის ქალაქ გრაცის უმაღლესი სკოლა იოანეუმი (FH Joanneum), საგამოფენო დიზაინის სპეციალობით.
- ცხოვრობს ვენაში, სწავლობს ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის მაგისტრატურაზე, მუშაობს სერვისმენეჯერად და ე.წ. ვიზუალურ მერჩენდაიზერად.

სალომე სალაძე

- დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ძირითადი პროფესია – საერთაშორისო ურთიერთობები, მეორადი პროფესია – ფსიქოლოგია;
- სწავლობდა – ზალცბურგის პარის ლოდრონის სახელობის უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით, ამჟამად სწავლობს ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტიკის ფაკულტეტის მაგისტრატურაზე;
- 2015 წელს იყო საქართველოს ახალგაზრდა ელჩი ავსტრიაში. ბოლო ორი წელია, ავსტრიის კანცლერის მიერ დაარსებული „Zusammen:Österreich Akademie“-ს სტიპენდიანტი და აკადემიის წევრია, ასევე ავსტრიის ახალგაზრდული წითელი ჯვრის ინტეგრაციის ელჩი.

მოხალისე „მენტორები“ ავსტრიაში სწავლის მსურველებს გზის გაკვალვაში ეხმარებიან

მარიკა: „ავსტრიის სტუდენტთა ასოციაცია“ 2015 წელს დაარსდა, მაშინ სალომე საქართველოს ახალგაზრდა ელჩი იყო ავსტრიაში და, თანამოაზრეებთან ერთად, ამ ერთწლიანი პროექტის ფარგლებში, სტუდენტური ასოციაცია დააარსა. მე გრაცში ვცხოვრობდი, ასოციაციაში მოგვიანებით გავწევრიანდი და გრაცის ფილიალი „გადავიბარე“. ჩემი მთავარი მოტივაცია იმ ახალგაზრდების დახმარება იყო/არის, რომლებსაც ავსტრიაში უმაღლესი განათლების მიღება აქვთ დაგეგმილი და არასაკმარის ინფორმაციას ფლობენ. მახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენი პროექტი „სწავლა ავსტრიაში“ – ქართულენოვანი მონაცემთა ბაზა ავსტრიაში უმაღლესი განათლების შესახებ – უამრავ ახალგაზრდას ეხმარება პირველადი ინფორმაციის მოძიებაში. ასევეა პროექტი „მენტორი“, რომლის მონაწილე ახალბედა სტუდენტებს უკვე გამოცდილი სტუდენტები ეხმარებიან სწავლის პირველ ეტაპზე ისეთ საკითხებში გარკვევაში, როგორიცაა: დაზღვევა, ბინა, ტრანსპორტი, კამპუსი, სტუდენტური შეღავათები და ა.შ.

ასოციაციას უკვე 20-მდე წევრი ჰყავს და მათი ნაწილი აქტიურადაა ჩართული კულტურულ, სპორტულ და ინტელექტუალურ ღონისძიებებში. ავსტრიაში მყოფ ასოციაციის არაწევრ ქართველ სტუდენტებს, ძირითადად, სოციალური ქსელის მეშვეობით ვეკონტაქტებით; ეს ინფორმაციის გავრცელებისა და მეტ დაინტერესებულ ადამიანთან კომუნიკაციის ოპტიმალური საშუალებაა.

იმედი მაქვს, რომ ზაფხულამდე ახალ ვებგვერდს (www.georgianstudents.at) ავამუშავებთ, ასევე ვაპირებთ მონაცემთა ბაზის „სწავლა ავსტრიაში“ გადახალისებას და აქტუალური ინფორმაციით შევსებას. ძალიან მინდა, „მენტორების“ პროექტი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტად ვაქციო და ახალბედა სტუდენტებს, გარდა სწავლის საკითხებში დაკვალიანებისა, რეგიონისა და ქალაქის კულტურა გავაცნო.

სალომე: ჩვენი მიზანი იყო, გაგვეერთიანებინა ავსტრიაში მცხოვრები ქართველი სტუდენტები და მოხალისეობრივად დავხმარებოდით იმ ქართველ ახალგაზრდებს, რომლებსაც სწავლის გაგრძელება ავსტრიაში უნდოდათ, რათა მარტივად გაევლოთ ის გზა, რომელიც ჩვენ, როგორც სტუდენტებმა, უკვე გავიარეთ; კიდევ ერთ მიზანს კი, ერთობლივი ძალებით ავსტრიაში საქართველოს პოპულარიზაცია წარმოადგენდა.

სტუდენტური ასოციაციის დაარსების დღიდან, დაახლოებით, 60-მდე აქტივობა გვაქვს განხორციელებული, ძირითადად, კულტურული ღონისძიებები. სტუდენტები ვცდილობდით, ჩვენი კულტურა, სიმღერა, ცეკვა, ასევე, ქართული ღვინო და კერძები გაგვეცნო ავსტრიელებისთვის.

ამ ეტაპზე, ჩემთვის, სხვა პროექტებს შორის, პრიორიტეტულია „მაუთჰაუზენის ქართველი ტყვეები“, რადგან მასზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა. სურვილი გვაქვს, მოვიპოვოთ კვლევითი სტიპენდია, რადგან კვლევა დიდ დროს, ძალისხმევას და ფინანსებს მოითხოვს. კვლევის შედეგებს კი წიგნის სახით გამოვაქვეყნებთ.

ექსკურსიით გაჩენილი იდეა

სალომე: „მაუთჰაუზენის ქართველი ტყვეები“ ჩვენი ასოციაციის ერთ-ერთი ბოლო პროექტია. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ ჩვეულებრივ დღეს, მარიკა და მე, სტუდენტური ექსკურსიით, მაუთჰაუზენის ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკს ვესტუმრეთ. სრულიად მოულოდნელად, დიდ დაფაზე, სადაც იქ გარდაცვლილი 90 000-მდე ადამიანის ვინაობა წერია, ქართული ანბანით დაწერილ ქართულ სახელებსა და გვარებს წავაწყდით. დაგვაინტერესა, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, როგორ მოხვდნენ იქ და გადავწყვიტეთ, ბევრად მეტი გაგვეგო მათზე. ამავე დროს აღმოვაჩინეთ, რომ ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე ბევრ ქვეყანას ჰქონდა აღმართული მემორიალური დაფა, საკუთარი ჯარისკაცების ხსოვნის პატივსაცემად, საქართველოს შესახებ კი არსად არაფერი იყო ნახსენები! გადავწყვიტეთ, ჩვენც მოგვეპოვებინა მემორიალური დაფის დადგმის უფლება.

მარიკა: თავიდან არ გვიფიქრია, რომ ამ ამბავს პროექტის სახე მიეცემოდა და ასეთ გამოხმაურებას გამოიწვევდა. ჩვენ მემორიალური დაფის აღმართვას ვაპირებდით იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, დაღუპულებისთვის პატივი მიგვეგო და მეორე მხრივ, ჩვენ შემდეგ იქ მისულ ქართველებს ეს დანაკლისის განცდა აღარ ჰქონოდათ. საბოლოოდ, მემორიალური დაფის აღმართვა მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა იმ პროექტისა, რომელზე მუშაობას ახლაც ვაგრძელებთ, ჩვენი სწავლისა და მუშაობის პარალელურად.

რეალობად ქცეული ფიქრები

მარიკა: მას შემდეგ, რაც მაუთჰაუზენის მემორიალის ქართველი ტყვეების გვარები ამოვკრიბეთ და ჩვენი ასოციაციის ფეისბუქგვერდზე გამოვაქვეყნეთ, სულ ვამბობდით, რა იქნება, ერთი მათგანის ახლობლები მაინც ვიპოვოთო; მერე ვამბობდით, რა იქნება ერთმა მათგანმა მაინც მოახერხოს მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიაზე ჩამოსვლაო; იმასაც ვფიქრობდით, იქნებ რომელიმე ორგანიზაცია ან სახელმწიფო სტრუქტურა დაინტერესდეს და გვესტუმროსო.

ფაქტი ის არის, რომ ეს ფიქრები რეალური აღმოჩნდა: ამ დროისთვის, 20-ზე მეტი ოჯახი გამოგვეხმაურა (მათ აბსოლუტურ უმეტესობას საკუთარი პაპა ან დიდი პაპა უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიაჩნდა). 17 თებერვალს, მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების – ბენია პირველაშვილისა და ლუკა მარკოზაშვილის – შთამომავლები ჩამოვიდნენ და საქართველოდან ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დელეგაცია გვესტუმრა.

უამრავი ტექსტის და ფოტომასალის, მათ შორის, საარქივო დოკუმენტების დამუშავება მოგვიწევს იმისათვის, რომ ამ პროექტს კვლევის სახე მივცეთ და, მომავალი წელს, მის ბეჭდურ გამოცემაზე ვიზრუნოთ. ვგეგმავთ კვლევის გაგრძელებას მაუთჰაუზენის ცენტრალურ არქივში, ბად აროლსენის ITS არქივსა და საქართველოს ეროვნულ არქივში. თუ შესაძლებლობა მოგვეცემა, მოსკოვის სამხედრო არქივშიც გვსურს მასალების მოძიება. გარდა პერსონალური ანკეტებისა და პირადი მონაცემებისა, განსაკუთრებით საინტერესოა ე.წ. ფილტრაციის დოკუმენტები, რომელთა ნაწილის მოძიება სწორედ რუსეთის სამხედრო არქივშია შესაძლებელი.

სალომე: ქართველ ტყვეთა რაოდენობა იმაზე ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მაუთჰაუზენში, ელექტრონულ დაფაზე ჰქონდათ დატანილი. ყოველი ახალი სახელის და გვარის ან ახალი ინფორმაციის გაგება ძალიან დიდი ემოციის მომტანი იყო ჩვენთვის. წარმოიდგინეთ, იკვლევ თემას, რომელიც შენამდე არავის უკვლევია და შენ მიერ აღმოჩენილი ყველა ინფორმაცია მნიშვნელოვანია!

მას შემდეგ, რაც სახელები და გვარები მოვიძიეთ (უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს საბოლოო სია არ არის და ძიების პროცესი ახლაც გრძელდება), დავიწყეთ მათი შთამომავლების ძებნა. ფეისბუქგვერდზე ამ სახელებისა და გვარების გამოქვეყნებას ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ათეულობით ადამიანმა მოგვწერა, რომ იცნობდნენ მათ ოჯახის წევრებს ან თავად იყვნენ შთამომავლები. მაუთჰაუზენში ტყვედ ჩავარდნილი 23-მდე ჯარისკაცის შთამომავალი უკვე ნაპოვნი გვყავს. ძალიან ემოციურია შვილს ან შვილიშვილს უამბო მამის ან ბაბუის შესახებ, თუ სად და როგორ გარდაიცვალა, თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ საკონცენტრაციო ბანაკს, რომელიც ცნობილია განსაკუთრებით მკაცრი მოქცევით, მინიჭებული ჰქონდა ყველაზე მაღალი – მესამე საფეხური.

მოძიებულ ოჯახებს ვთხოვეთ ჯარისკაცების შესახებ ინფორმაციისა და ფოტომასალის მოწოდება. გვინდოდა, პატარა ბიოგრაფიული ტექსტები თითოეულ მათგანზე შეგვექმნა, მხოლოდ სახელებითა და გვარებით კი არა, ისტორიებითაც რომ ვიცნობდეთ. მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში ტყვედ ჩავარდნილ თითოეულ ჯარისკაცს საკუთარი ისტორია აქვს, რომლის ერთი პატარა ნაწილი ყველასთვის საერთოა – ომში წასვლის შემდეგ მათი კვალი ქრება და ოჯახის წევრები ძიებას იწყებენ, თუმცა უშედეგოდ. ნათესავები, შთამომავლები იგონებდნენ ისტორიებს. იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთი მათგანის 16 წლის ძმა ომში ჩუმად გაიპარა ძმის მოსაძებნად და თავადაც ველარ დაბრუნდა ცოცხალი, ერთმა ძმამ კი თავისი ძმა ფრონტზე დაინახა და ხმა ვერ გააგონა... ეს ჯარისკაცები ომიდან უკან აღარ დაბრუნებულან, მათ სახელებს კი შთამომავლებს არქმევდნენ...

მხარდაჭერით გაზრდილი მოტივაცია

მარიკა: მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობთ მაუთჰაუზენის ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლისგან, პროექტის საწყის ეტაპზევე განსაკუთრებული ყურადღებით და გულისხმიერებით გვპასუხობდნენ ელწერილებსა და შეტყობინებებზე. ეს კომუნიკაცია კითხვებზე უბრალოდ პასუხის გაცემაზე ბევრად მეტია, რადგან მათი წერილები და სიტყვები სტიმულის მომცემია ჩვენთვის და უფრო მეტად ცხადყოფს, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ორ ძირითად ამბავს ჩვენს პროექტში: 1. ავსტრიაში მყოფი ორი ქართველი სტუდენტის ინიციატივა, ყოველგვარი სახელმწიფო სტრუქტურის ჩარევის გარეშე განხორციელებული და 2. ავსტრიის საკონცენტრაციო ბანაკებში ქართველი ტყვეების შესახებ აქამდე არავის უკვლევია. რამდენიმე ათეული კვლევა საბჭოთა ტყვეების შესახებ არსებობს, თუმცა კონკრეტულად ქართველი ჯარისკაცების შესახებ კვლევას აქამდე ვერ მივაგენით.

მაუთჰაუზენის ცენტრალურ არქივთან თანამშრომლობა ცალკე აღნიშვნის ღირსია. როცა მათ ვუთხარით, რომ მაუთჰაუზენში გარდაცვლილი ქართველი ჯარისკაცების ოჯახები ვიპოვეთ, თვითონ შემოგვთავაზეს მოძიებული ბიოგრაფიების არქივისთვის გადაგზავნა. შედეგად, წელს პირველად, მაუთჰაუზენის არქივის წლიურ კატალოგში, ერთ-ერთი ქართველი ჯარისკაცის, გრიგოლ ბედოშვილის ბიოგრაფია შევა. არქივთან თანამშრომლობის გაგრძელებას, რა თქმა უნდა, მომავალშიც ვაპირებთ. შევთავაზეთ მონაცემთა ბაზაში იმ ხარვეზების შესწორებაში დახმარება, რომლებიც ქართველი ჯარისკაცების სახელებსა და ტოპონიმებში გვხვდება. გარდა ავსტრიული მხარისა, ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავ საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან კომუნიკაციის ხარისხსა და პროფესიონალიზმს. მათი

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

მხარდაჭერა კიდევ უფრო მეტ მოტივაციას გვძენს, მუშაობა გავაგრძელოთ და საბოლოოდ, ეს მასალა ერთ წიგნად გამოვცეთ.

სალომე: პროექტის მიმდინარეობისას ვცდილობდით, თავად გვეკეთებინა ყველაფერი, დახმარება მხოლოდ მაშინ გვეთხოვა, როცა თავად ვეღარ გავართმევდით რაღაც საკითხს თავს. ასე გავართვით დამოუკიდებლად თავი კვლევის პროცესს და ნებართვის აღებას ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, რომელსაც მაუთჰაუზენის არქივი ეკუთვნის. დამოუკიდებლად შევძელით მემორიალის აღმართვის ნებართვის მოპოვებაც. თვეების განმავლობაში გაგრძელდა მოლაპარაკება მუზეუმის ადმინისტრაციასთან, მაკეტიც თავად დავამზადეთ, მარიკამ შექმნა საკუთარი დიზაინით. რამდენიმეთვიანი ლოდინის შემდეგ დასტური მივიღეთ, მაგრამ, არ გქვონდა ფინანსები დაფის დასამზადებლად.

საბედნიეროდ, ავსტრიაში მცხოვრებმა ქართველმა, ქეთევან რურუამ გამოხატა დახმარების სურვილი, უკვე დამზადებული ქვის ტრანსპორტირებაზე კომპანია „აირზენამ“ უარი გვითხრა, აქაც ავსტრიაში მცხოვრები ქართველი დაგვეხმარა – ვაჟა კაზიევმა ქვა საკუთარი მანქანით ჩამოიტანა ავსტრიამდე. შემდეგ მთავარი პრობლემა დამონტაჟება იყო, ავსტრიულმა კომპანიამ რამდენიმე ასეული ევრო მოითხოვა. ჩვენთვის საკმაოდ დიდი თანხა იყო, ამიტომ ისევ დავიწყეთ ალტერნატივის ძიება და საბოლოოდ, ავსტრიაში მცხოვრებმა ქართველმა არქიტექტორმა, იკო მინდაძემ, სრულიად უსასყიდლოდ, დაამონტაჟა დაფა, რაშიც კიდევ ერთი ქართველი – ერეკლე თურქაძე დაგვეხმარა. პროექტის მიმდინარეობისას გვგულშემატკივრობდა ქალბატონი თამილა ჯერვალიძე ავსტრიის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი. ყველას, ვინც ამ პროექტში ჩაერთო, მოხალისეობრივად გვერდით დაგვიდგა, უდიდესი მადლობა ეკუთვნის!

მემორიალური დაფის გახსნაზე, სასიხარულო იყო საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის დელეგაციის სტუმრობა. ისინი ოჯახების მოძიებაში დახმარებას დაგვპირდნენ. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტმა, პარლამენტის შენობაში, პირველი რესპუბლიკის დარბაზში, ჩვენი პროექტის პრეზენტაციის შესაძლებლობა მოგვცა, რომელსაც, პარლამენტის წევრებთან და სხვა სახელმწიფო მოხელეებთან ერთად, ჯარისკაცების ოჯახის წევრებიც დაესწრნენ.

ქართველი სტუდენტების თვალით დანახული ავსტრიული განათლების სისტემა

მარიკა: ავსტრიაში განათლების სისტემის შეფასება სუბიექტური გამომივა იმიტომ, რომ მხოლოდ ორ სასწავლებელში (პროფესიული უმაღლესი სკოლა იოანეუმი და ვენის უნივერსიტეტი), ორ კონკრეტულ სამაგისტრო მიმართულებაზე (საგამოფენო დიზაინი და ხელოვნების ისტორია) სწავლის გამოცდილება მაქვს. პირველი მათგანი იმით იყო განსაკუთრებული, რომ სტუდენტებს და ლექტორებს შორის იერარქია თითქმის არ არსებობდა, ერთმანეთს შენობით ვესაუბრებოდით, თავისუფალ აზროვნებას, იდეების რეალიზებას, კრიტიკის მოსმენას გვასწავლიდნენ, ყველა სტუდენტის ინდივიდუალიზმი გათვალისწინებული იყო და მისი გამორჩეულობა – ხაზგასმული. როცა ჩემი სამაგისტრო თემა პირველად გავაცანი თემის ხელმძღვანელს, მეგონა, ბევრი არგუმენტის მოყვანა დამჭირდებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ნამდვილად საინტერესო თემაა, რომელზეც აუცილებლად უნდა დაიწეროს (თბილისის, როგორც იუნესკოს დიზაინ-ქალაქის პოტენციალზე ვწერდი). უპრობლემოდ დამთანხმდა, ეს თემა მისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა.

უნივერსიტეტში იერარქია პროფესორსა და სტუდენტს შორის უფრო თვალშისაცემია, თუმცა ეს გასაგებიცაა, მისი შინაარსისა და კონსერვატიული სტრუქტურის გათვალისწინებით. აქ სტუდენტს სამეცნიერო საქმიანობას ასწავლიან, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. სასწავლო პროგრამაც ისეა შედგენილი, ლექციების პარალელურად, სემინარებზე დასწრება სავალდებულოა – მოსმენის გარდა, დისკუსიაში აქტიური ჩართვა, საკუთარ თემაზე პრეზენტაციისა და წერილობითი სამეცნიერო ტექსტის მომზადება. პარალელურად, სტუდენტ-ასისტენტების ე.წ. ტუტორიუმები ტარდება რეფერატის სწორად წერის, სწორად ციტირების, ლიტერატურის გამოყენების და სხვა თემებზე. ვერ ვიტყვი, რომ რადიკალურად განსხვავებულია ქართული საუნივერსიტეტო სისტემისგან-მეთქი, თუმცა, რა თქმა უნდა, აქ მეტი შესაძლებლობაა, მაგალითად, ტექნიკური აღჭურვილობისა და სამეცნიერო ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის მხრივ.

სალომე: ჩემთვის ეს არის ქვეყანა, რომელმაც ძალიან ბევრი შესაძლებლობა მომცა. ვსწავლობ უნივერსიტეტში, რომელიც 650 წლისაა და სიძველით პირველია მთელ გერმანულენოვან სივრცეში. აქ სტუდენტობა ძალიან საინტერესოა, განსხვავდება საქართველოში მიღებული გამოცდილებისგან. მომწონს სისტემა, რომლის საშუალებითაც ყველას აქვს უფლება გახდეს სტუდენტი და სასწავლო გრაფიკი, დროის თვალსაზრისით, ისე გაანაწილოს, როგორც თავად სურს. მომწონს პროფესორებისა და სტუდენტების ურთიერთდამოკიდებულება, უშუალობა, როცა პროფესორი ისე გესაუბრება, როგორც კოლეგას. ვენის უნივერსიტეტში 95 000-მდე სტუდენტი სწავლობს და ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა აქ შექმნილი კულტურული მრავალფეროვნება.

მაგისტრატურაზე სწავლის პარალელურად, ჩართული ვარ სასტიპენდიო პროგრამაში, რომელშიც ავსტრია საკმაოდ დიდ თანხას დებს, რომ უცხო ქვეყნის აქტიურ სტუდენტებს შესაძლებლობა მოგვეცეს, ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე, მივიღოთ გამოცდილება უშუალოდ სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მათი წარმომადგენლებისგან. ვმონაწილეობთ სხვადასხვა კონფერენციაში, გვიტარდება ტრენინგები და ვეცნობით ავსტრიისა და ევროკავშირის პოლიტიკურ სისტემას, გვაქვს გასვლითი ვიზიტები. მოკლედ რომ ვთქვა, ქვეყანა, რომლისთვისაც მე ერთი ჩვეულებრივი უცხოელი სტუდენტი ვარ, არ იშურებს ძალისხმევას, შემიწყოს ხელი როგორც პროფესიულ, ისე პიროვნულ განვითარებაში! ეს არის ის, რაც ყოველთვის გემახსოვრება და ძალიან მინდა ოდესმე მომეცეს საშუალება, ამ ქვეყანას მადლობა გადავუხადო!

პასუხი კითხვის გარეშე

მარიკა: რაც თქვენ არ გიკითხავთ, მაგრამ აღნიშვნის ღირსად მივიჩნევ: 1. როდესაც ვამბობთ ან ვწერთ „ქართველი ტყვეები“, „ ქართული გვარები“, ვგულისხმობთ არა მხოლოდ ეთნიკურად ქართველებს, არამედ სხვა ეთნიკური ჯგუფების იმ წარმომადგენლებსაც, რომლებიც ყოფილი საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსით იყვნენ ტყვეობაში; 2. გარდა მაუთჰაუზენის ელექტრონული მონაცემთა ბაზისა, დამატებით, გვარები მოვიძიეთ, ერთი მხრივ, მაუთჰაუზენის აქრივში და, მეორე მხრივ, მათიას კალთენბრუნერის მონოგრაფიაში, რომელიც მან მაუთჰაუზენის ბანაკიდან საბჭოთა ჯარისკაცების ყველაზე მასშტაბურ გაქცევას მიუძღვნა; 3. ვფიქრობ, რომ საკუთარი სამშობლოსთვის მნიშვნელოვანი საქმის კეთება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შესაძლებელია მანამ, სანამ საკუთარი იდენტობა გეძვირფასება.

სალომე: მე ყურადღებას საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების აქტიურობის მნიშვნელობაზე გავამახვილებდი. ძალიან ბევრი რამ შეგვიძლია სტუდენტებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებს მიღმა ვცხოვრობთ. ხშირ შემთხვევაში, ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული იმ ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში, სადაც ვიმყოფებით. ვფლობთ ამ ქვეყნის ენას და გვაქვს კონტაქტები. ეს ყველაფერი თითოეულმა ჩვენგანმა პროდუქტიულად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ხშირად გამიგია წუხილი საქართველოდან საზღვარგარეთ წასული ახალგაზრდების შესახებ, რომ ისინი ტოვებენ სამშობლოს... საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა ტრაგედია არ არის, პირიქით, ეს არის საუკეთესო საშუალება შევმატოთ ჩვენს ქვეყანას რაღაც, თუნდაც აქ მიღებული ცოდნით და გამოცდილებით! ვისურვებდი, ორმაგად მოგვენდომებინოს თითოეულ ჩვენგანს ქვეყნისთვის რაიმე დადებითის გაკეთება. შევძლებთ კიდეც ამას, მთავარია შრომისმოყვარეობა და ამ ყველაფრის სურვილი. თითოეული ჩვენგანი საქართველოს არაფორმალური ელჩები ვართ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის დახმარება და ფეხზე დაყენება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი თავდაუზოგავი შრომით მიიღწევა და არა მშველელის ლოდინით.

მოამზადა ლალი ჯელაძემ

მაუთჰაუზენში – განსაკუთრებით მძიმე პირობების მძონე ბანაკში (მის დაქვემდებარებაში 49 საკონცენტრაციო ბანაკი შედიოდა) პატიმრები, მათი ეროვნებისა და ტყვედ აყვანის საბაბის მიხედვით, სხვადასხვა კლასებად იყვნენ დაყოფილი. განსაკუთრებით მკაცრად ებრაელებსა და საბჭოთა ჯარისკაცებს ეპყრობოდნენ, გაქცევის ორგანიზებებსა და პოლიტიკური წინააღმდეგობის გაღვივებაში ეჭვმიტანილებს კი „ტყვიისათვის განწირულებს“ უწოდებდნენ და ბანაკის მე-20, ე.წ. „სიკვდილის ბლოკში“ ათავსებდნენ.

1945 წლის პირველი თებერვლის ღამეს მე-20 ბლოკში განთავსებულმა 500-მდე საბჭოთა ჯარისკაცმა მასობრივი გაქცევა მოაწყო. ეს გაქცევა მაუთჰაუზენის ისტორიაში მოიხსენიება, როგორც „კურდღლებზე ნადირობა მუელვირთელში“. მე-20 ბლოკში განთავსებულ ტყვეთა შორის რვა ქართველიც იმყოფებოდა. ბლოკში დარჩენილი ტყვეები, იმავე ღამით, სიცოცხლეს გამოასალმეს, გაქცეულებზე კი საგანგებო ძებნა გამოცხადდა. როგორც ცნობილია, გაქცეულთაგან 11 ადამიანი გადარჩა ცოცხალი, მხოლოდ 8 მათგანის ვინაობაა ცნობილი.

1945 წლის 5 მაისს აშშ-ს არმიამ მაუთჰაუზენისა და გუზენის ბანაკები და იქ მყოფი, დაახლოებით, 40 000 ტყვე გაათავისუფლა. 1946 წელს, დახაუში გამართულ სასამართლო სხდომებზე, მაუთჰაუზენის საქმეზე 306 ბრალდებული პირი გასამართლდა, მათგან 37-ს სიკვდილი მიუსაჯეს.

სასკოლო აქტივობა

ყვავილების ფესტივალი

2018 წლის 26 აპრილი. სილამაზით, მშვენიერებით და ფერთა ჰარმონიითაა აღვსილი სკოლა „თამარიონის“ ეზო და დერეფნები. საოცარ ყვავილებად ქცეული ფერადი ფურცლები, ვარდებად გარდაქმნილი გირჩები, ზღაპრულად შემოსილი ფერიები, ტიტები, ნარცისები, ზამბახები – ყველაფერი ეს პატარა „თამარიონელების“ ხელითაა შექმნილი, რა თქმა უნდა დედიკოების დახმარებით. პროექტშიც ასე იყო გათვლილი: დედებისა და ბავშვების ფანტაზია ფერად-ფერად ფურცლებში უნდა ასახულიყო, გაცოცხლებულიყო და დასკვნით ღონისძიებაში „ყვავილების ფესტივალი“ შემფასებლის წინაშე წარდგენილიყო.

სკოლა სავსე იყო კოხტად მორთული, ხალისიანი ბავშვებით, რომლებიც მეგზურობას უწევდნენ დამთვალიერებლებს და სიამაყით აცნობდნენ თავიანთ ნამუშევრებს.

– ეს მზეა, ეს – ნაკადული, ეს – ცისარტყელა, ეს თოჯინა მე და დედამ მოვრთეთ – გაუთავებლად ისმოდა მათი ტიტინი და ძალაუნებურად შენც მონაწილე ხდებოდი მათი ბედნიერების.

სკოლის შენობიდან გამოსულს ეზოშიც საოცრება გელოდა. პატარების ერთი ჯგუფი ფერადი ცარცებით ცდილობდა ასფალტის ამეტყველებას. ნორჩი ნატურალისტები, პატარა ხელებით, რუდუნებით რგავდნენ ჭრელ-ჭრელ ყვავილებს. გამრჯე დედიკოებს თეთრი გვირილები გაუშლიათ, გვირგვინებს წნავენ და უშურველად ურიგებენ მსურველთ. ყველაფერ ამას აღტაცებაში მოჰყავხარ, გიხარია და სიამაყით ივსები, რადგან შენც, „თამარიონელი“, ამ ოჯახის წევრი ხარ და ბედნიერი, რადგან შენი პატარა ანდე ამ სკოლას და იცი, რომ არჩევანმა გაამართლა.

უდიდესი სიყვარულით მინდა, მადლობა გადაგიხადოთ სკოლის დირექციას, დაწყებითი კლასების თითოეულ პედაგოგს, კრეატიულობით გამორჩეულ ხელოვნების პედაგოგს – **თამუნა თუთაშვილს**, აღსაზრდელსა და მშობელს აღნიშნული დღის ასე ამაღელვებლად ჩატარებისათვის.

მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს წარმატებული პროექტისათვის.

მწამს, რომ, თქვენ მიერ აღზრდილი თითოეული მოსწავლის სახით, სამშობლოს ღირსეული მოქალაქე ეყოლება.

მაკა სარალიძე
I კლასის მოსწავლის, მაქსიმე ხუციძის მშობელი

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად გთავაზობთ დამხმარე მასალას, რომელიც კითხვა–პასუხის ფორმატშია მომზადებული

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

TƏLIM VƏ INKIŞAF NƏZƏRIYYƏLƏRI

182. İnterpersonal intellektə malik şəxs necədir?

İnsanları yaxşı başa düşür, başqaları ilə ünsiyyət prosesində asanlıqla öyrənir, təşkilatçılığı və rəhbərliyi bacarır, başqa insanların emosiyalarını yaxşı başa düşür, dinləyə bilir; insanlar arasında mediasiyanı bacarır, sosial oyunları sevir.

183. İnterpersonal intellektə malik şəxs necədir?

Təklikdə işləməyi sevir, müstəqildir, güclü iradəyə malikdir, intuisiyası yaxşı inkişaf etmişdir, özünə inanır, özünün güclü və zəif tərəflərini yaxşı bilir.

184. Naturalist intellektə malik şəxs necədir?

Ətraf mühiti yaxşı tanıyır– flora və faunanı, məhsulu əldə edə, konservləşdirə bilir.

185. Akkomodasiya nədir?

İnkişaf prosesidir ki, bu zaman ətraf mühitin təsiri ilə insanın davranışı procesi, bu zaman ətraf mühitin təsiri ilə insanın davranışı dəyişir.

186. Analoji reaksiya qanunu nədən ibarətdir?

Torndaikin qanunu ki, buna əsasən də insan yeni vəziyyətə düşdüyündə, ilk növbədə, oxşar vəziyyətdə müraciət edəcəyi davranışa müraciət edir.

187. Aktiv dinləmə nədir?

Təkcə məlumatın anlaşılmasını deyil, insanın məlumatı necə və hansı emosiyalarla deyir..

188. Qeyri-verbal kommunikasiya nədir?

Sözlər xaricində, fiziki xüsusiyyətlər və davranışla kommunikasiya.

189. Qavramanın audial tərzi nədir?

Qavrama tərzidir ki, bu zaman insan yeni məlumatı audial şəkildə alır (materialı dinlədiyində) – söhbətlərlə, diskussiya ilə, dialoqlarla.

190. Qavramanın kinestetik tərzi?

Qavramanın üslubu, bu zaman insan təmasla yeni məlumatı asanlıqla qəbul edir, nəyisə etdiyində, kəsdiyində, qurduğunda, düzəltdiyində və ya rolu ifa etdiyində.

191. Qavramanın vizual üslubu nədir?

Qavramanın üslubu ki, bu zaman insan yeni məlumatı vizual şəkildə (gördüyündə) – şəkillərlə, diaqramlarla, cədvəllərlə asanlıqla qəbul edir.

192. Assimilyasiya nədir?

Assimilyasiya yeni əşyanın və ya hadisənin mövcud sxem vasitəsilə qavrama və anlayış prosesini bildirir.

193. Assosiativ təlim nəyi bildirir?

Təlimin ən sadə formasıdır, bu zaman keçmiş təcrübənin təsiri ilə bir hadisə ikinci ilə assosiativ, dərk edilmədən əlaqələnir.

194. Biheviorizm nədir?

Davranışlar haqqında elmdir ki, təlim prosesində insanın davranışında dəyişikliyi öyrənir.

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

სწავლის და განვითარების თეორია

182. როგორია ინტერპერსონალური ინტელექტის მქონე ადამიანი?

კარგად ესმის ადამიანების, ადვილად სწავლობს სხვებთან ურთიერთობის პროცესში, ეხერხება ორგანიზება და ხელმძღვანელობა, კარგად ესმის სხვა ადამიანების ემოცია, შეუძლია მოსმენა; შეუძლია ადამიანებს შორის მედიაცია, უყვარს სოციალური თამაშები.

183. როგორია ინტრაპერსონალური ინტელექტის მქონე ადამიანი?

უყვარს მარტო მუშაობა, არის დამოუკიდებელი, აქვს ძლიერი ნებისყოფა, კარგად განვითარებული ინტუიცია, საკუთარ თავში დარწმუნებულია, კარგად იცის საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები.

184. როგორია ნატურალისტური ინტელექტის მქონე ადამიანი?

კარგად ერკვევა სამყაროში – ფლორასა და ფაუნაში, ეხერხება მოსავლის მოყვანა, კონსერვაცია.

185. რა არის აკომოდაცია?

განვითარების პროცესი, რომლის დროს გარემოს ზეგავლენით ხდება ადამიანის ქცევის შეცვლა.

186. რაში მდგომარეობს ანალოგიური რეაქციის კანონი?

თორნდაიკის კანონი, რომლის მიხედვით, როცა ადამიანი ხვდება ახალ სიტუაციაში, პირველ რიგში, მიმართავს იმ ქცევას, რომელსაც მიმართავდა მსგავს სიტუაციაში.

187. რა არის აქტიური მოსმენა?

პროცესი, რომელიც ნიშნავს არა მხოლოდ ინფორმაციის გაგებას, არამედ იმის გაგებასაც, თუ როგორ და რა ემოციით ამბობს ინფორმაციას ადამიანი.

188. რა არის არავერბალური კომუნიკაცია?

კომუნიკაცია სიტყვების გარეშე, ფიზიკური მახასიათებლებითა და ქცევით.

189. რა არის აღქმის აუდიალური სტილი?

აღქმის სტილი, როდესაც ადამიანს უადვილდება ახალი ინფორმაციის მიღება აუდიალური სახით (როდესაც მასალას ისმენს) – საუბრებით, დისკუსიით, დიალოგებით.

190. აღქმის კინესთეტიკური სტილი?

აღქმის სტილი, როდესაც ადამიანს უადვილდება ახალი ინფორმაციის მიღება შეხების გზით, როდესაც რაიმეს აკეთებს, ჭრის, აგებს, აწყობს ან ასრულებს როლს.

191. რა არის აღქმის ვიზუალური სტილი?

აღქმის სტილი, როდესაც ადამიანს უადვილდება ახალი ინფორმაციის მიღება ვიზუალური სახით (როდესაც ხედავს) – სურათებით, დიაგრამებით, ცხრილებით.

192. რა არის ასიმილაცია?

ასიმილაცია ნიშნავს ახალი საგნის ან მოვლენის არსებული სქემის საშუალებით აღქმის და გაგების პროცესს.

193. რა არის ასოციაციური დასწავლა?

დასწავლის უმარტივესი ფორმა, როდესაც წარსული გამოცდილების გავლენით ერთი მოვლენა ასოციაციურად, გაუცნობიერებლად, უკავშირდება მეორეს.

194. რა არის ბიჰევიორიზმი?

ქცევათმეცნიერება, რომელიც სწავლის პროცესში ადამიანის ქცევაში ცვლილებას შეისწავლის.

Կարևոր հարցեր պատասխաններով

ՈՒՍԱՆՄԱՆ ԵՎ ԶԱՐԳԱՑՄԱՆ ՏԵՍՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ

182. Ինչպիսի՞ն է միջանձնային բանականություն ունեցող մարդը:

Լավ է հասկանում մարդկանց, հեշտ է սովորում ուրիշների հետ հարաբերության գործընթացում, կարող է կազմակերպել և ղեկավարել, լավ է հասկանում ուրիշ մարդկանց հույզերը, կարող է լսել, կարող է մարդկանց միջև միջնորդություն անել, սիրում է սոցիալական խաղերը:

183. Ինչպիսի՞ն է ներանձնային բանականություն ունեցող մարդը:

Սիրում է մենակ աշխատել, ինքնուրույն է, ունի ուժեղ կամքի ուժ, լավ զարգացած կռահողություն, ինքնավստահ է, լավ գիտի սեփական ուժեղ և թույլ կողմերը:

184. Ինչպիսի՞ն է նատուրալիստական բանականություն ունեցող մարդը:

Լավ տեղյակ է շրջապատող աշխարհին՝ ֆլորային և ֆաունային, կարող է բերք աճեցնել, պահածոյացնել:

185. Ի՞նչ է ակոմոդացիան:

Զարգացման գործընթաց, որի ժամանակ միջավայրի ներգործությամբ տեղի է ունենում մարդու վարքի փոփոխում:

186. Ինչո՞ւմ է կայանում ասոցիատիվ արձագանքի օրենքը:

Թորնդայկի օրենքը, որի համաձայն, երբ մարդ հայտնվում է նոր իրավիճակում, նախ և առաջ դիմում է այն վարքին, որին դիմում էր նման իրավիճակում:

187. Ի՞նչ է ակտիվ ունկնդրումը:

Գործընթաց, որը նշանակում է ոչ միայն տեղեկությունը հասկանալ, այլ նաև հասկանալ այն, թե ինչպե՞ս և ի՞նչ հույզով է մարդ հայտնում այս տեղեկությունը:

188. Ի՞նչ է ոչ վերբալ (ոչ բառային) հաղորդակցությունը:

Հաղորդակցություն առանց բառերի, ֆիզիկական բնութագրիչներով և վարքով:

189. Ի՞նչ է ընկալման լսարանային ոճը:

Ընկալման ոճ, մարդու համար հեշտ է նոր տեղեկությունը ստանալ լսարանային տեսքով (երբ նյութը լսում է)՝ զրույցներով, քննարկումներով, երկխոսություններով:

190. Ի՞նչ է ընկալման կինեսթետիկ ոճը:

Ընկալման ոճ, երբ մարդու համար հեշտ է նոր տեղեկությունը ստանալ շփման ճանապարհով, երբ որևէ բան անում է, կտրում, կառուցում, դասավորում կամ կատարում է դեր:

191. Ի՞նչ է ընկալման վիզուալ ոճը:

Ընկալման ոճ, երբ մարդու համար հեշտ է նոր տեղեկությունը ստանալ վիզուալ տեսքով (երբ տեսնում է)՝ նկարներով, դիագրամներով, աղյուսակներով:

192. Ի՞նչ է առնմանումը:

Առնմանումը նշանակում է նոր առարկան կամ երևույթը գոյություն ունեցած սխեմայի միջոցով ընկալելու և հասկանալու գործընթաց:

193. Ի՞նչ է ասոցիատիվ սովորելը:

Սովորելու պարզագույն ձև, երբ անցյալի փորձի ներգործությամբ, զուգորդությամբ, առանց գիտակցման մի երևույթը կապվում է մյուսի հետ:

194. Ի՞նչ է բիհեվիորիզմը:

Վարքերի գիտություն, որն ուսումնասիրում է

პროფესიული განვითარება

195. Qarşılaşdırma nədir?
Təlimin bir növüdür ki, bu zaman stimul və reaksiya arasında əlaqə möhkəmlənir.

196. Əhval-ruhiyyə, yəni yanaşmaların qanununu nədir?
Torndaikin qanunudur, bunun əsasında da insan öz həyat təcrübəsi və formalaşdırılmış yanaşmaların nəzərə alınması ilə davranır.

197. Xarici motivasiya nədir?
Motivasiya növündən biridir ki, insan, əsasən, xarici mükafatı qəbul etmək üçün çalışır: tərif, pul mükafatı, sertifikat və s.

198. Məlumatın, biliyin şəklinin dəyişməsi nədir?
Yaddan çıxarma formasıdır ki, bu zaman məlumat yaddaşda sönməmişdir, amma şəkli dəyişə və ya başqa xatirələrlə qarışa bilər.

199. Qapalı sual nədir?
Sual növüdür ki, bunun cavabları da əvvəlcədən müəyyən edilmişdir.

200. Dominant elementlər qanunu nədir?
Torndaikin qanunu ki, buna əsasən də problemli vəziyyətdə orqanizm xüsusilə mühüm (dominant) elementlərə reaksiya göstərir.

201. Effekt qanunu nədir?
Torndaikin qanunudur ki, bu da əsasən "məmnuniyyət vəziyyətini" müşayiət edən hərəkətlərin təkrar edilməsini, öyrənilməsini nəzərdə tutur.

202. Verbal kommunikasiya nədir?
Sözlərin istifadəsi ilə kommunikasiya.

203. Vizual tərz nədir?
Qavrama tərzidir ki, bu zaman insan yeni məlumatı vizual şəkildə asanlıqla qəbul edir – şəkillərlə, diaqramlarla, cədvəllərlə və s.

204. Məlumatın mənbəyi nədir?
Kommunikasiya prosesində məlumatı ötürən tərəf.

205. İnformasiya modeli nədir?
Koqnitik nəzəriyyədir ki, bu da insanın əqli proseslərini kompüter fəaliyyəti ilə müqayisə edir.

206. Ənənəvi şərtilik nədir?
Təlim tipidir ki, bu zaman ilk növbədə, bitərəf stimul avtomatik olaraq, reaksiyaya səbəb olan stimulu qoşalaşdırdıqdan sonra orqanizmin analoji reaksiyasına səbəb olur.

207. Koqnisiya nədir?
İnformasiyanın işlənib hazırlanması əməliyyatlarının növünün öyrənilməsidir.

208. Koqnitivizm nədir?
Elə bir yanaşmadır ki, idrak üçün lazımi proseslərin qavranılmasını, yadda saxlanılmasını, diqqəti, düşüncəni öyrənir.

209. Koqnitik nəzəriyyə nədir?
Təlim nəzəriyyəsi ki, təlim prosesində koqnitik proseslərin təsirini öyrənir.

210. Kommunikasiya nədir?
İnsanlar arasında münasibət prosesidir ki, bunun məqsədi də məlumatın ötürülməsidir.

211. Konstruktivizm nədir?
Təlim prosesində müəllimi deyil, şagirdi, tələbəni vurğulayan bir yanaşmadır.

Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova

195. რა არის განპირობება?
დასწავლის ტიპი, როდესაც კავშირი მყარდება სტიმულსა და რეაქციას შორის.

196. რა არის განწყობის, ანუ დამოკიდებულების კანონი?
თორნდაიკის კანონი, რომლის მიხედვით ადამიანი იქცევა მისი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების გათვალისწინებით.

197. რა არის გარეგანი მოტივაცია?
მოტივაციის ტიპი, როდესაც ადამიანი, ძირითადად, საქმიანობს გარეგანი ჯილდოს მისაღებად: შექება, ფულადი ჯილდო, სერტიფიკატი და ა.შ.

198. რა არის ინფორმაციის, ცოდნის დამახინჯება?
დავიწყების ფორმა, როდესაც ინფორმაცია არ არის გამქრალი მეხსიერებიდან, თუმცა შეიძლება დამახინჯდეს ან აირიოს სხვა მოგონებებთან.

199. რა არის დახურული შეკითხვა?
შეკითხვის ტიპი, რომლის პასუხები წინასწარ განსაზღვრულია.

200. რა არის დომინანტური ელემენტების კანონი?
თორნდაიკის კანონი, რომლის მიხედვით, პრობლემურ სიტუაციაში ორგანიზმი რეაგირებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან (დომინანტურ) ელემენტებზე.

201. რა არის ეფექტის კანონი?
თორნდაიკის კანონი, რომლის მიხედვით, ხდება იმ ქცევის გამეორება, დასწავლა, რომელსაც თან ახლავს „კმაყოფილების მდგომარეობა".

202. რა არის ვერბალური კომუნიკაცია?
კომუნიკაცია სიტყვების გამოყენებით.

203. რა არის ვიზუალური სტილი?
აღქმის სტილი, როდესაც ადამიანს უადვილდება ახალი ინფორმაციის ვიზუალური სახით მიღება – სურათებით, დიაგრამებით, ცხრილებით და ა.შ.

204. რა არის ინფორმაციის წყარო?
კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის გამცემი მხარე.

205. რა არის ინფორმაციული მოდელი?
კოგნიტური თეორია, რომელიც ადამიანის შემეცნებით პროცესებს კომპიუტერის ფუნქციონირებას ადარებს.

206. რა არის კლასიკური განპირობებულობა?
დასწავლის ტიპი, რომლის დროს, თავდაპირველად, ნეიტრალური სტიმული, ავტომატურად, რეაქციის გამომწვევ სტიმულთან დაწყვილების შემდეგ, ორგანიზმის ანალოგიურ რეაქციას იწვევს.

207. რა არის კოგნიცია?
შემეცნება, ინფორმაციის გადამუშავების ოპერაციათა ნაირსახეობა.

208. რა არის კოგნიტივიზმი?
მიდგომა, რომელიც შემეცნებისათვის საჭირო პროცესებს – აღქმას, მეხსიერებას, ყურადღებას, აზროვნებას შეისწავლის.

209. რა არის კოგნიტური თეორია?
სწავლის თეორია, რომელიც სწავლის პროცესში კოგნიტური პროცესების გავლენას შეისწავლის.

210. რა არის კომუნიკაცია?
ადამიანებს შორის ურთიერთობის პროცესი, რომლის მიზანია ინფორმაციის გადაცემა.

211. რა არის კონსტრუქტივიზმი?
მიდგომა, რომელიც სწავლის პროცესში აქცენტს აკეთებს მოსწავლეზე, სტუდენტზე და არა მასწავლებელზე.

მომზადდა ასოციაცია „ზეკართან" თანამშრომლობით და ითარგმნა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

սովորելու գործընթացում մարդու վարքի մեջ կատարվող փոփոխությունները:

195. Ի՞նչ է պայմանավորվածությունը:
Սովորելու տեսակ, երբ կապ է հաստատվում խթանի և արձագանքի միջև:

196. Ի՞նչ է տրամադրվածության կամ կախվածության օրենքը:
Թորնդայկի օրենքը, որի համաձայն մարդ վարվում է իր կենսական փորձի և ձևավորված վերաբերմունքների նախատեսմամբ:

197. Ի՞նչ է արտաքին մոտիվացիան:
Մոտիվացիայի տեսակ, երբ մարդ, հիմնականում, գործում է արտաքին պարգև ստանալու համար՝ գովասանք, դրամական պարգև, հավաստագիր և այլն:

198. Ի՞նչ է տեղեկության խեղաթյուրումը:
Մոռանալու ձև, երբ տեղեկությունը հիշողությունից չի կորած, սակայն կարող է խեղաթյուրվել կամ շփոթվել այլ հիշողությունների հետ:

199. Ի՞նչ է փակ հարցը:
Հարցի տեսակ, որի պատասխանները նախապես սահմանված են:

200. Ի՞նչ է դոմինանտ տարրերի օրենքը:
Թորնդայկի օրենքը, որի համաձայն, խնդրահարույց իրավիճակում օրգանիզմն արձագանքում է առանձնապես կարևոր (դոմինանտ) տարրերին:

201. Ի՞նչ է էֆեկտի օրենքը:
Թորնդայկի օրենքը, որի համաձայն տեղի է ունենում այն վարքի կրկնություն, սերտում, որին ուղեկցում է «գոհունակության վիճակ»:

202. Ի՞նչ է վերբալ (բառային) հաղորդակցությունը:
Հաղորդակցություն բառերի օգտագործմամբ:

203. Ի՞նչ է վիզուալ (տեսանելի) ոճը:
Ընկալման ոճ, երբ մարդ հեշտությամբ է նոր տեղեկությունը ընկալում տեսանելի տեսքով՝ նկարներով, դիագրամներով, աղյուսակներով և այլն:

204. Ի՞նչ է տեղեկության աղբյուրը:
Հաղորդակցության գործընթացում տեղեկություն տրամադրող կողմը:

205. Ի՞նչ է տեղեկատվական մոդելը:
Իմացական տեսություն, որը մարդու իմացական գործընթացները համեմատում է համակարգչի գործառնության հետ:

206. Ի՞նչ է դասական պայմանավորվածությունը:
Ուսանման տեսակ, որի ժամանակ, սկզբից չեզոք խթանը ավտոմատ կերպով, արձագանքը հարուցող խթանի հետ զույգելուց հետո, օրգանիզմի նման արձագանք է առաջացնում:

207. Ի՞նչ է կոգնիցիան:
Ճանաչողություն, տեղեկության վերամշակման գործառնությունների տարատեսակ:

208. Ի՞նչ է կոգնիտիվիզմը:
Մոտեցում, որն ուսումնասիրում է ճանաչողության համար անհրաժեշտ գործընթացները՝ ընկալումը, հիշողությունը, ուշադրությունը, մտածողությունը:

209. Ի՞նչ է կոգնիտային տեսությունը:
Ուսանման տեսություն, որն ուսումնասիրում է ուսանման գործընթացում իմացական գործընթացների ներգործությունը:

210. Ի՞նչ է հաղորդակցությունը:
Մարդկանց միջև հարաբերության գործընթաց, որի նպատակն է տեղեկության փոխանցումը:

211. Ի՞նչ է կոնստրուկտիվիզմը:
Մոտեցում, որը սովորելու գործընթացում շեշտադրումն անում է աշակերտի, ուսանողի և ոչ թե՝ ուսուցչի վրա:

Թարգմանությունը՝ Զոյա Մխիթարյանի

აბიტურიენტი

სასკოლო განათლება მხოლოდ გამოცდებზე ორიენტირებული არ უნდა იყოს

წელს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, 40 ათასზე მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა, თუმცა ეს რიცხვი საბოლოო არ არის, რადგან გამოსაშვები გამოცდები სურათს, გარკვეულწილად, შეცვლის. მეთორმეტეკლასელთა დაძაბულობა ნელ-ნელა პიკს აღწევს, ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, წინ საატესტატო გამოცდების ჩაბარება ელით და თანაც შეცვლილი ფორმატით – მოსწავლე ეკრანზე, ტესტირების დასრულებისას, ქულის დანახვის ნაცვლად, შეტყობინებას მიიღებს, გადალახა თუ არა მან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მინიმალურ 5,5 ქულაზე მეტი მიიღო თუ ნაკლები. ამ ცვლილებამ უფროსკლასელებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რადგან ნაწილი მიიჩნევს, რომ საატესტატო გამოცდები საკმაოდ ზედაპირულია და ქულას მოსწავლის მოტივაციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ნაწილს კი მოსწონს ეს გადაწყვეტილება, რადგან მოსწავლეებს შორის „გაჯობე-ვერგაჯობეს“ პრინციპი მოისპობა. რამდენად მომზადებული ხვდებიან უფროსკლასელები გამოცდებს, რომელ უნივერსიტეტებსა თუ მიმართულებებს ანიჭებენ უპირატესობას და ამზადებს თუ არა სკოლა მათ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის – ამ თემებზე მოსაზრებებს დღეს 24-ე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელები გაგვიზიარებენ. შემდეგ ნომრებში, ამ რუბრიკით, სხვა უფროსკლასელთა მოსაზრებებს შემოგთავაზებთ.

თათია გოჩაშვილი

პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, რომ დაინტერესდით ამ თემით. შვიდთვიანი მზადების შემდეგ, ვფიქრობ, მზად ვარ ეროვნული გამოცდებისთვის როგორც ცოდნის თვალსაზრისით, ასევე ტესტების ადეკვატურად გაგების მხრივ. რაც შეეხება საატესტატო გამოცდებს, ამ მხრივ, ცალკე არ ვემზადები, ეროვნული გამოცდების ცოდნის საფუძველზე ვფიქრობ მათ ჩაბარებას.

ვფიქრობ, ქულას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსწავლის მოტივაციისთვის. ბავშვები, რომლებიც მაღალ ქულაზე სწავლობდნენ ან თუნდაც მაღალი ქულა უნდოდათ, სერიოზულად ეკიდებოდნენ საატესტატო გამოცდებს. შესაბამისად, ამით დაგროვებულ ცოდნას ავსებდნენ. ვინც არ სწავლობდნენ, ცდილობდნენ, რომ ამ გამოცდებისათვის მაინც შეეძინათ გარკვეული ცოდნა. მინიმალური ბარიერის გადალახვისათვის მნიშვნელობის მინიჭება აბსოლუტურად ყველა მოსწავლის დემოტივაციას გამოიწვევს, რადგან ბევრი ფიქრობს, რომ საშუალო დონის ცოდნით შეძლებს გამოცდების „გადაგორებას“.

საატესტატო გამოცდები, ვფიქრობ, საკმაოდ ზედაპირულია, მხოლოდ საგნის ცოდნას მოითხოვს. ძირითადად მოწმდება მოსწავლეების ცოდნა და არა მათი აზროვნების უნარი. ასევე ხშირია სახელმძღვანელოებით გამოწვეული გაუგებრობები, რადგანაც ერთზე მეტი წიგნია გრიფირებული და ამ წიგნებს შორის ინფორმაციული სხვაობაა, ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსწავლეებს არ აქვთ ამა თუ იმ საგნის ყველა სახელმძღვანელოსთან წვდომა. შესაბამისად, მოდის კითხვები, რომლებზეც მოსწავლეებს არ აქვთ პასუხები, მათი ცოდნის მიუხედავად. რაც შეეხება ეროვნულების მოდელს, აქ უფრო დიდი მნიშვნელობა აბიტურიენტის აზროვნებას ენიჭება, რაც ჩემი აზრით კარგია, რადგან საშუალო განათლების მქონე ადამიანს, მხოლოდ ზეპირი მეტყველება არ უნდა შეეძლოს. ასევე მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ორივე გამოცდა კომპიუტერთან ბარდება, რაც დამღლელია, განსაკუთრებით ეროვნული გამოცდებისას. ხშირად რთულია კომპიუტერში მოცემული ინფორმაციის აღქმა, განსაკუთრებით დიდი ტესტებისა და ამოსახსნელი სავარჯიშოების შემთხვევაში.

ჩემ თაობაში, ძირითადად, მოთხოვნილება იურიდიულ, სამედიცინო და ბიზნეს ფაკულტეტებზეა. ერთი მხრივ, ვფიქრობ, რომ იურიდიული და სამედიცინო ფაკულტეტების პოპულარიზაციას თანამედროვე გადაცემები და სერიალები იწვევენ, ასევე მშობლების სურვილი, როდესაც მოსწავლეს არ აქვს გადაწყვეტილი რისი კეთება უნდა მომავალში. მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც შინაგანი მოთხოვნილების გამო ირჩევენ. მე ავირჩიე მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ფაკულტეტი.

აბიტურიენტთა უმრავლესობა ირჩევს იმ უნივერსიტეტს, რომელსაც მისაღები ქულების ზღვარი მინიმალური აქვს. ასევე, ამ ბოლო დროს, ძალიან პოპულარული გახდა კერძო უნივერსიტეტები.

პროფესიული განათლების შესახებ მაქვს გარკვეული ინფორმაცია, ძირითადად იმ ადამიანებისგან, რომლებმაც მიიღეს ცხრა კლასის ატესტატი და ამის შემდეგ სკოლა დატოვეს. თუმცა ეს რამდენიმე წლის წინათ იყო. ახლა მსგავსი სურვილის მქონე არავინ მყავს გარშემო.

გრანტის შესახებ ძირითად ინფორმაციას მასწავლებლები მაწვდიან, თუმცა ამ თემაზე ხშირადაა გადაცემები, ტელევიზიით თუ რადიოთი. ვიცი, რომ გრანტის მიღება ხდება უნარებისა და არჩეული საგნის ქულის საფუძველზე. ორი ან მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში კი უპირატესობა უმაღლეს ქულას ენიჭება. ამ საკითხის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება მაქვს, რადგან უკეთესი სისტემის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ, ამიტომ შესადარებელი მაგალითიც არ მაქვს.

უფასო ფაკულტეტების გაუქმებას უარყოფითი და დადებითი მხარეები აქვს. ერთი მხრივ, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ყველას არ აქვს იმის საშუალება, რომ შეძლოს შვილის უმაღლესი განათლების სრულად დაფინანსება. ამ მხრივ, უფასო ფაკულტეტები, სწავლის შანსს აძლევს. მატერიალურად გაჭირვებულ ახალგაზრდებს. მეორე მხრივ, უფასო ფაკულტეტები, ძირითადად, ისეთ უნივერსიტეტებშია, რომელში სწავლის საფასურიც სრულიად შეიძლებოდა დაფარულიყო 100%-იანი სახელმწიფო გრანტით, ამიტომაც სწავლის მსურველი ახალგაზრდისათვის ეს სწავლისთვის დამატებითი მოტივაციაა. ამავდროულად, ასეთ ადამიანებს არჩევანის უფრო მეტი თავისუფლება აქვთ. ასევე არიან ისეთი კატეგორიის აბიტურიენტები, რომლებისთვისაც უფასო ფაკულტეტები უბრალოდ უნივერსიტეტში მოხვედრისა და სტუდენტის სტატუსის მიღების შანსია და თუ ეს შანსი აღარ მიეცემათ, გაუჭირდებათ უნივერსიტეტში მოხვედრა. რეალურად ეს კარგია, რადგან საქართველოს მთავრობა ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეებს სამუშაო ადგილებით, ამიტომაც ჯობია უნივერსიტეტის დიპლომი ისეთმა ადამიანმა მიიღოს, რომელიც მართლაც სწავლისთვისაა მოწოდებული.

ჩემი აზრით, საქართველოში განათლება მხოლოდ ნაწილობრივაა ორიენტირებული გამოცდებზე. ეს ტენდენცია მხოლოდ რამდენიმე საგანში შეინიშნება. რეალურად, მოსწავლეების უმეტესობას ეროვნულ გამოცდებზე ნებისმიერი ტესტის შევსება უჭირს, არა ცოდნის ნაკლებობის, არამედ ამგვარ ტესტურ დავალებებზე მუშაობის არცოდნის გამო. ასეთი შემთხვევები, ძირითადად, რაიმე ტიპის თხზულების დაწერისას ვლინდება. თუმცა, გამოცდებისთვის მზადების გარეშეც ხშირად იზღუდება მოსწავლის შემოქმედებითი უნარი და თავისუფლება, მხოლოდ იმიტომ, რომ მასწავლებლისთვის მიღებულ „ჩარჩოებში“ არ ჯდება მოსწავლე, თუმცა ეს სხვა პრობლემაა.

ლუკა ჩეკურაშვილი

საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს სათანადოდ მომზადებული და იმედიანად ვხვდები. საატესტატო გამოცდებზე მინიმალური ზღვარის დაწესება და მისი მინიჭება, ერთი მხრივ სწორად მიმაჩნია, რადგან მოსწავლეებს შორის არ იქნება გაჯობე-ვერგაჯობეს პრინციპი, მაგრამ მეორე მხრივ, არ მომწონს, რადგან ვეღარ გავიგებთ როგორ ვართ მომზადებული ეროვნული გამოცდებისთვის. რა თქმა უნდა, მერჩია საატესტატო გამოცდების შეფასება ქულებით ყოფილიყო.

რაც შეეხება გამოცდების თანამედროვე მოდელს, მომწონს საატესტატო გამოცდები, თუმცა დასახვეწია. მაგალითად, გამოცდაზე შეიძლება მოგვიდეს ჯერ ძალიან რთული შეკითხვა, შემდეგ ძალიან მარტივი, რაც გაბნევს... გგონია, რომ ჩაიჭერი. რაც შეეხება ეროვნულ გამოცდას, მომწონს, მაგრამ უნარებში წინადადების შევსება ხშირად არალოგიკურია და კარგი იქნება, თუ დაიხვეწება. მთლიანობაში ეროვნული გამოცდების მოდელი ძალიან მომწონს.

ჩვენს თაობაში მოთხოვნად პროფესიებად ითვლება – ბიზნესმართვა, სამართალი, სამედიცინო, ეკონომიკური... უპირატესობა ამ სპეციალობებს მაღალი ანაზღაურების გამო ენიჭებათ. პირადად მე, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი ავირჩიე. უნივერსიტეტებიდან პრესტიჟულად თავისუფალი, აგრარული და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტები ითვლება.

პროფესიული განათლების შესახებ საკმაოდ კარგად ვარ ინფორმირებული და ძალიან მომწონს. თუმცა, რატომღაც პროფესიულმა სასწავლებლებმა პრესტიჟულის სახელი ჯერ ვერ დაიმკვიდრეს, რაც ალბათ, ჩვენი მენტალობის ბრალია. გაუაზრებლად და იძულებით უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას, რა თქმა უნდა, სჯობს რაიმე პროფესია აირჩიო და შენი საქმის პროფესიონალი იყო. სამწუხაროდ, ჩემი მეგობრებიდან არავინ მახსენდება, რომ სწავლა პროფესიულში გაეგრძელებინა.

რაც შეეხება უფასო ფაკულტეტებს, როგორც ვიცი, უფასო ის ფაკულტეტებია, რომლებზეც ნაკლები მოთხოვნაა. უფასო ფაკულტეტებს ის აბიტურიენტები ირჩევენ, რომლებსაც ფასიანზე სწავლის საშუალება არ აქვთ. ვფიქრობ, უფასო ფაკულტეტების გაუქმება არამართებულია, თუნდაც იმიტომ, რომ უფასო ფაკულტეტების არსებობით გაზრდილი მოთხოვნა ნაკლებად პრესტიჟულ სპეციალობებზე კვლავ შემცირდება.

რა თქმა უნდა, ეროვნული გამოცდებისთვის რეპეტიტორთან ვემზადები, ჩემი მეგობრების უმეტესობა, შეძლებისდაგვარად, ახერხებს რეპეტიტორთან სიარულს. სამწუხაროდ, მხოლოდ სკოლაში მიღებული ცოდნა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები დაძლიო. ამ მხრივ, სკოლაში სერიოზული და მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი.

ლუკა გოგშელიძე

საატესტატო და ერთიან ეროვნულ გამოცდებს მომზადებული ვხვდები. საატესტატო გამოცდებზე შეფასების სისტემის გაუქმება არ მიმაჩნია სწორ გადაწყვეტილებად, რადგან ვეღარ გავიგებთ თუ როგორ შეფასდება ჩვენი ცოდნა. მოსწავლეებმა იციან, რომ გამოცდის უმაღლეს ქულაზე ჩაბარების შემთხვევაშიც კი, ვერ გაიგებენ საკუთარ ქულას, შესაბამისად, ვერ შეაფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს, ამიტომ მათ აღარ აქვთ მოტივაცია.

საატესტატო გამოცდის მინუსი სწორედ შეფასების სისტემის გაუქმებაა, დანარჩენით კმაყოფილი ვარ, ვთვლი, რომ კარგი მოდელია როგორც საატესტატო, ისე ეროვნული გამოცდები.

აბიტურიენტები, ძირითადად, ბიზნეს-ადმინისტრირებას/მართვას, საზოგადოებრივ მეცნიერებებს, სამართალს ირჩევენ, თუმცა ნამდვილად არ ვიცი, რატომ აკეთებენ ასეთ არჩევანს და საერთოდ, საქართველოში რატომაა ეს ფაკულტეტები ასე პოპულარული. ვთვლი, რომ ჩემ თაობაში პრესტიჟული ტექნიკური საგნებია, რადგან ტექნიკის ეპოქაში ვცხოვრობთ და ამ მიმართულებით, წინ კიდევ ბევრი საინტერესო რამ გველის. პროგრამირება, ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია, ყველაზე პრესტიჟულ ფაკულტეტებად მიმაჩნია და სწორედ ამიტომ ავარჩიე ელექტრო ინჟინერია.

თითქმის ყველა უნივერსიტეტშია თითო ისეთი ფაკულტეტი მაინც, რომელზეც სხვაგან მაღალ დონეზე ვერ ისწავლი, ამიტომ მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტების პოპულარულ და ნაკლებად პოპულარულ კატეგორიებად დაყოფა-დახარისხება სწორი არ არის.

პროფესიულ კოლეჯებში სწავლა რატომღაც ზოგისთვის სათაკილოა და უმეტესობას სურს, მაინცდამაინც უმაღლესი განათლება მიიღოს, რაც არამართებულია, ვისაც არ შეუძლია უმაღლეს სასწავლებელში სწავლა, მათთვის იდეალური ვარიანტია პროფესიული განათლების დაუფლება და ამ გზით წარმატების მიღწევა.

მიმაჩნია, რომ უფასო ფაკულტეტების გაუქმება კარგი იქნება, ვინაიდან აბიტურიენტების გარკვეული ნაწილისთვის მთავარია უნივერსიტეტში მოხვდეს, რის გამოც სწორედ უფასო ფაკულტეტებს ირჩევენ, ამიტომაც ფაკულტეტების გაუქმება სჯობს – ვისაც სურს უფასოდ სწავლა, გრანტისთვის იბრძოლებს.

ის, რომ საქართველოში სასკოლო განათლება მთლიანად ორიენტირებულია გამოცდებზე, რა თქმა უნდა,ზღუდავს როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის შემოქმედებითობას, გაკვეთილები უინტერესოა და მოსწავლეებიც უბრალოდ იზეპირებენ მასალას მხოლოდ იმისთვის, რომ გამოცდა ჩააბარონ. სასკოლო განათლება არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ გამოცდებზე, ის უნდა ცდილობდეს, გაკვეთილი უფრო საინტერესო და შემეცნებითი გახდეს.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

სასკოლო აქტივობა

დედამიწის დღე

დედამიწის დღესთან დაკავშირებით, საბურთალოს გამგეობისა და ინტელექტუალური კლუბის „თბილისი“ ინიციატივით, 203-ე საჯარო სკოლის ეზოში დასუფთავების აქცია გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებმა, გამგეობის თანამშრომლებთან და კლუბის წევრებთან ერთად, საკუთარი სკოლის ეზოს დასუფთავებაში მიიღეს მონაწილეობა. ეზოში მოეწყო გამწვანების აქციაც.

მოგზაურობა აფხაზეთში

2017 წლის იანვარში №103 საჯარო სკოლამ (დირექტორი – **არჩილ ჩხაიძე**) ფუნქციონირება გააგრძელა ახალ, ევროსტანდარტებით აღჭურვილ შენობაში. სკოლის კედლები მალე აჭრელდა საგამოფენოდ და საკონკურსოდ გამოტანილი ნამუშევრებით, პროექტებით.

ჩამოყალიბდა რამდენიმე წრე: ხელოვნების, მუსიკის, სპორტის სხვადასხვა სახეობის; სკოლაში საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურულ სალონს, რომელმაც გასულ წელს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული საღამო შემოგვთავაზა, მოეწყო სალონური შეხვედრები, გავარჩიეთ რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოები და ვიმსჯელეთ მათ გარშემო წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხებზე.

დადგა დრო ახალი შეთავაზებისა. რა უნდა იყოს უფრო მნიშვნელოვანი, თუ არა საქართველოს დაკარგული ტერიტორიების თემა. რადგან ჩვენს სკოლას პირდაპირ შემოსცქერის იძულებით გადაადგილებულთა საცხოვრებელი და გვყავს რამდენიმე ბუდეს მოწყვეტილი მოსწავლე, 2018 წლის 26 აპრილს, ჩვენი სკოლის ლიტერატურულმა სალონმა ერთობ საინტერესო და შთამბეჭდავი საღამო გამართა „მე მოგიყვებით აფხაზეთზე“ (ხელმძღვანელი – **ლია ქინქლაძე**). სცენა დამშვენებული იყო ზღვაში ჩამავალი მზის დეკორაციებით, საგანგებოთ მოწყობილ დაფაზე ვაჩვენეთ ფილმი „მოგზაურობა აფხაზეთში“, რომელიც ამავე სკოლის მოსწავლემ, **მარიამ გობეჩიამ** და მისი ოჯახის წევრებმა გადაიღეს 2017 წლის ზაფხულში აფხაზეთში მოგზაურობის დროს. საღამოს მონაწილეები: **მარიამ გობეჩია, ანნა მერლანი, ნანა ჩხაიძე, ნინო თოლომაშვილი, ლიანა ელიბეკიანი, თამთა მერლანი, ლიდია ორეხოვა, ანა ჩხაიძე, გიორგი სარქისოვი, გიორგი აბულაძე, ლიზი ჩხაიძე,** გამორჩეული სითბოთი და გულისტკივილით შეეხნენ აფხაზთა გულის სიმებს. მათ ტექნიკური დახმარება გაუწიეს: **ალექსანდრე კოსტანიანმა, დავით მაყიშვილმა, ნიკა ჟიჟავაძემ, ჯინო თეთრაძემ, გიორგი ბუხრიკიძემ.** მონაწილეებმა ეკრანზე აჩვენეს აფხაზეთის ღირსშესანიშნაობები, ბედიის ტაძარი, ილორის მოქვის ტაძრები, წაიკითხეს ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „გული“, „აფხაზური კანტატა“, „აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს“, „წუხელ სიზმარში აფხაზეთი ვნახე“.

საღამოს ესწრებოდნენ სკოლის მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, მოწვეული სტუმრები: თბილისის №70 საჯარო სკოლის დირექტორი **ვალერიან გიორგაძე**; №90 საჯარო სკოლის დირექტორი **თამარ მელიქიძე**; №106 საჯარო სკოლის დირექტორი **თენგიზ გულორდავა**; №215 საჯარო სკოლის დირექტორი **ალექსანდრე კეჩხოშვილი**; სპმთპ ისნის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **ქეთი ხეტეშვილი**; №17 ბაგა-ბაღის დირექტორი **ლელა ბაქრაძე**; აფხაზეთის განათლების სამინისტროს წარმომადგენლები; წმინდა სპირიდონ ტრიმიფუტელის სახელობის წინამძღვარი **მამა გიორგი ასათიანი**; აფხაზეთიდან დევნილი ადამიანები.

აფხაზეთის ომის მონაწილემ, **კახა არღვლიანმა**, აფხაზეთში გატარებული ლამაზი წლები გაიხსენა, ისაუბრა შერიგებაზე და აღნიშნა: *„ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენლები დავუპირისპირდებოდით ერთმანეთს და ჩემს საყვარელ ადგილებს დავშორდებოდი. ამიტომაც ვთხოვ მომავალ თაობას, სიყვარულით, დიპლომატიით ვეცადოთ შერიგებას“.*

საღამო დაამშვენა ჩვენი სკოლის მოსწავლის, **ნინო დოლენჯიშვილის** მეგობრების გუნდმა „ერთსულოვნებამ“, რომელთაც შეასრულეს სიმღერა „აფხაზი ვარ“; რამდენიმე სიმღერა სკოლის მომღერალთა გუნდმაც (პედაგოგი – **ნინო მიჯახტიშვილი**) შეასრულა; სკოლის კურსდამთავრებულმა **გიორგი ჯმუხაძემ**, აფხაზეთის ომში დაღუპულ ბიძას და მის თანამებრძოლებს მიუძღნა შესანიშნავი სიმღერა „ისევ ისე გელოდებათ აფხაზეთი“.

საღამო იმედიანი განწყობით დავასრულეთ – „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. №103 საჯარო სკოლის დირექტორმა, არჩილ ჩხაიძემ მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს, მათ მშობლებს და მოწვეულ სტუმრებს მონაწილეობისა და თანადგომისთვის.

მანანა ნიკოლაშვილი
№103 საჯარო სკოლის
ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი

სამოდელო გაკვეთილი

მწერლის ენაზე დაკვირვება აკაკი წერეთლის მოთხრობა „ბაში-აჩუკის“ მიხედვით

განათლების რეფორმის შემდეგ ქართული ენა და ლიტერატურა ინტეგრირებულად ისწავლება სკოლაში, ენობრივი მასალა ლიტერატურასთან კავშირში ეცნობა. მწერლის ენაზე დაკვირვება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და მწერლის ენის თავისებურებათა გამოვლინება-შესწავლა უნდა ემსახურებოდეს იმ მიზანს, რომ მოსწავლეები ღრმად ჩასწვდნენ მხატვრული ნაწარმოების იდეურ შინაარსს, გაარკვიონ მწერლის როლი სალიტერატურო ენის გამდიდრების საქმეში, თვალნათლივ დაინახონ, როგორ ვითარდება ენა და რა როლს ასრულებს ამ საქმეში ცალკეული დიალექტები, რა მიმართებაა ხალხურ სასაუბრო მეტყველებასა და მწერლის ენას შორის, როგორ ასახავს ენის ლექსიკური შემადგენლობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, როგორ იხვეწება ენის გრამატიკული წყობა და სხვ. ყოველივე ეს კი, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლებას, ისე მათ მიერ მხატვრული ტექსტის გააზრებასა და მწერლის ენობრივ-სტილური თავისებურებების გარკვევას. ამ მიზნით, მე-8 კლასში, ჩავატარე გაკვეთილი – გრამატიკის საათი **„ენობრივ შეცდომებზე ნადირობა“**. გთავაზობთ 45-წუთიანი გაკვეთილის გეგმას.

სწავლების საფეხური/კლასი – საბაზო, მე-8 კლასი

მოსწავლეთა რაოდენობა – 27, არ მყავს სსსმ მოსწავლე.

გაკვეთილის თემა – „ენობრივ შეცდომებზე ნადირობა“ (აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, მწერლის ენა).

მიზანი: მოსწავლეები დააკვირდებიან მწერლის ენას, იმსჯელებენ ტექსტის ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე, ამოიცნობენ ენობრივ ფორმებსა და მხატვრულ ხერხებს. გამოუმუშავდებათ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევები, ასევე მსჯელობის, ანალიზის, შეფასების უნარ-ჩვევები, ფანტაზიის უნარი.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი	კლასის ორგანიზების ფორმა	რესურსი	დრო
1	თავდაპირველად მოსწავლეებს გავაცნობ გაკვეთილის თემას, მიზანს (ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკას მოსწავლეები იცნობენ, გაკრული აქვთ საკლასო ოთახში).	ინფორმირება ვერბალური სახით.	საერთო საკლასო	შეფასების რუბრიკა	1წთ.
2	**აქტივობა 1.** **საშინაო დავალების შემოწმება**: მოსწავლეები, სურვილისამებრ, წარმოადგენენ მთელი კვირის განმავლობაში ტექსტში მოძიებულ ფორმებს, რომლებიც სალიტერატურო ენისათვის შეუსაბამოა. წარმოდგენილი მაგალითების საფუძველზე, ერთად ჩამოვაყალიბებთ აკაკი წერეთლის ენისათვის დამახასიათებელ ენობრივ თავისებურებებს და შევეცდებით მათი დანიშნულების ახსნას. არასწორი და არასრული პასუხის შემთხვევაში მივაწვდი ვერბალურ უკუკავშირს.	**ზეპირსიტყვიერი პრეზენტაცია, ენობრივი დისკუსია**	ინდივიდუალური	საშინაო დავალების ფურცელი	5წთ.
3	**აქტივობა 2.** **წინარე ცოდნის შემოწმება/გააქტიურების მიზნით, დავსვამ შეკითხვებს, რისთვისაც გამოვიყენებ გონებრივი იერიშის მეთოდს.** **კითხვები**: 1. რას ნიშნავს ლექსიკა? 2. რითი ივსება აკაკის ლექსიკა? 3. რას ეწოდება სინონიმები? 4. ომონიმები? 5. ფრაზეოლოგიზმები, ანუ ხატოვანი გამოთქმები? 6. პარონიმები? 7. დიალექტიზმები? 8. ახსენით, რატომ იყენებს ხოლმე აკაკი ანდაზას? 9.რას ნიშნავს მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები?	კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში	საერთო საკლასო		5წთ.
4	**აქტივობა 3.** **მწერლის ენაზე დაკვირვების მიზნით, მივმართავ ჯგუფურ მუშაობას. კლასს დავყოფ ხუთ ჯგუფად და თითოეულს მივცემ კონკრეტულ დავალებას (მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთი ფანტაზიითა და გემოვნებით წარმოადგინონ დავალებები, რომლებიც შეეფერება გაზაფხულს, ვთქვათ, შემოსონ ხე, ააწყონ ფაზლი...)** **პირველი ჯგუფი: ლექსიკაზე მუშაობა „გველნაკბენივით“** **(გველივით შევცვალეთ „გველნაკბენივით“, ხალისის შეტანის მიზნით)** *მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი.* სიტყვას **„გველნაკბენივით“** უნდა შეუწყონ სინონიმები. ასევე უნდა განმარტონ ლექსიკური ერთეულები: 1. ფირმანი; 2. ფარეში; 3. ულუსი; 4. ბუჭულა; 5. ფაფანაკი. **მათ უნდა შემოსონ ხე.** **მეორე ჯგუფი:** **ზმნურ ფორმებზე დაკვირვება** მოძებნონ ტექსტში ზმნების არამართებული ფორმები, გაასწორონ და ახსნან, რატომ მიიჩნევენ შეცდომად და რატომ შეიძლება იყენებდეს მათ ავტორი. ა) იპოვეთ ზმნა. ბ) მართებულია ზმნის ფორმა თუ მცდარი? გ) რატომ ფიქრობთ ასე?	**პრეზენტაცია**	ჯგუფური	ფლიფჩარტები, მარკერები	20წთ.
	1. „ამ დროს ერისთავები, სტუმრები და მასპინძელი ერთად ***იჯდნენ*** სასტუმრო ოთახში ტახტზე ფეხმორთხმით.“ 2. „თეიმურაზ მეფე მარტოდმარტო იჯდა დიდ საგონებელში ჩავარდნილი, მაგრამ რუსთაველზე არ ***ჰფიქრობდა***.“ 3. „და ის უცხო მხედარიც ეს იქნებოდა! – *სთქვა* მარიამმა.“ 4. „ფარისევლობა კარისკაცების ხელობაა, მაგრამ მეფისგან კი მიკვირს, რომ ***სტყუვდება***.“ 5. „ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, ჭაბუკი ***გადაჰხტა*** ცხენიდან და ქვეითად ეახლა ბატონს.“ 6. „გველეშაპი კუდით ირეკდა მეომრებს, ბრჭყალებით ჰგლეჯდა და კბილებით ***სწიწკნიდა*** .“ 7. „ღმერთმა შეუნდოს იმ ოჯახს და ***მოკითხოს*** მამა-პაპის ცოდვა ჩვენს ბატონ მეფეს.“ 8. „***ყველა*** გაოცებული ***უყურებდნენ*** ერთმანეთს.“ 9. „ამბის გაგონებისთანავე ***სამივე დადუმდნენ*** .“ 10. „კახეთში მაშინვე გაჩნდნენ ***სხვადასხვა გუნდები*** გავარდნილთა.“ **მესამე ჯგუფი:** **ანდაზებზე დაკვირვება** ახსნან, რატომ მიმართავს აკაკი წერეთელი ანდაზებს (აზრის უფრო სხარტად და ნათლად გამოსათქმელად ავტორი ხშირად მიმართავს ანდაზებს), დააკვირდნენ ამ ანდაზებს და ახსნან, თუ რა სიბრძნეს გვასწავლის მათი შინაარსი. ანდაზები და აფორიზმები: 1. „ცდა ბედის მონახევრეა.“ 2. „კვიცი გვარზე წავაო.“ 3. „ძალა აღმართს ხნავსო.“ 4. „ერთი ხიდან ჯვარიც გამოვა და ბარიცო.“ 5. „თოფი მეთოფეს და მეთოფე – სოფელსო!“ 6. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსო.“ 7. „სადაც კვამლი მაღალიო, მეც იმისი მაყარიო.“ 8. „მტერი მოყვრულად მოსული მტერზედაც უარესიაო.“ 9. „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.“ 10. „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.“ **მეოთხე ჯგუფი:** **ფრაზეოლოგიზმებსა და დიალექტიზმებზე დაკვირვება** 1. „ჩოლოყაშვილმა ***კარგი ფეხი ვერ მიუტანა*** სპარსელებს.“ 2. „შაჰ-აბასმა ***მუსრი გაავლო*** კახეთს.“ 3. „ერთ დროს დიდი ადგილი ეჭირა სასახლის კარზე, მაგრამ ***გადაუბრუნდა*** *ფეხი* და გამოისტუმრეს თავისი ქვეყნიდან.“ 4. „***გულში ჩაიდვა*** ბაში-აჩუკის ჯავრი და აქეთ-იქით დაეხეტებოდა მთელი დღე.“ 5. „ბნელით მოცულმა ქვეყანამ ***სული მოიბრუნა*** .“ მოძებნონ ტექსტში დიალექტიზმები და შეცვალონ ისინი სალიტერატურო შესატყვისით. ახსნან, რას ემსახურება ტექსტში დიალექტიზმების სიჭარბე, ვის მეტყველებაში უფრო ხშირად გვხვდება დიალექტური ფორმები – მწერლისა თუ პერსონაჟის? 1. „შავი ოხშივარი ***კომლივით*** ამოუშვა და თან საზარელი სიმყრალის სული ამოატანა.“ 2. „ნეტავი არც გამეგონა, ***თვარა*** როგორ გავიმეორებ?“ 3. „***ვეჟო***, რა არის მაგისთანა?“ 4. „ელიზბარი ორივე მხარეს ***აგონგროვებდა***.“ 5. „ორ მეჯინიბეს ძლივს გამოჰყავს, ***გაურავებულია***.“ **მეხუთე ჯგუფი:** **მხატვრულ ხერხებზე დაკვირვება ტექსტში** მოძებნონ მხატვრული ხერხები, განსაზღვრონ ისინი და ახსნან მათი დანიშნულება. 1. „თვალუწვდენელი სიშორიდან ***გველივით*** მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი.“ 2. „არაგვი ***თავს არ იზოგავდა***, რათა ახალი გზა გაეკვლია.“ 3. „ბედნიერება მოგელის და შენ კი აქ მოგიკეცია ***ნაცარქექიასავით***.“ 4. „გამოიტანა ***წვრილლულიანი***, სულ ***ოქროთი მოსალტული*** თოფი.“ 5. „ერთი მათგანი მიუბრუნდა ***ზარდაცემულ*** ხალხს.“ 6. „შაჰ-აბასმა სწორედ აქ იგრძნო თავისი კოჭლობა, როცა ამ ***პატარა ქვეყნის*** *ქვაკუთხედს* წამოჰკრა ფეხი.“	**პრეზენტაცია**	ჯგუფური	ფლიფჩარტები, მარკერები	20წთ.

საშოდელო გაკვეთილი

4	7. „ანდერძად დაუგდო მემკვიდრეებს ***ირანის ლომმა*** თავისი იგივე პოლიტიკა.“ 8. „ცოტა **წმინდა** მირჩევნია ბევრ **უწმინდურს**.“ 9. „მისი წყალობით ქვეყანა ***პურს ჭამს***.“ 10. „***ალაზნის შხუილი თითქოს შესჩივის და შეხვნეშის*** გარემოს.“	**პრეზენტაცია**	ჯგუფური	ფლიფჩარტები, მარკერები	20წთ.
5.	**აქტივობა 4.** **ტექსტის რედაქტირება** კლასი კვლავ ჯგუფებადაა დაყოფილი. მოსწავლეებს რედაქტირებისთვის დავურიგებ ერთსა და იმავე ტექსტს „ბაში-აჩუკიდან“. მოსწავლეები, თავდაპირველად, იმუშავებენ დამოუკიდებლად, შემდეგ ჯგუფის წევრებთან შეათანხმებენ პასუხებს. უპირატესობა იმ ჯგუფს მიენიჭება, რომელიც უშეცდომოდ და სწრაფად შეასრულებს დავალებას. მონიტორზე გამოჩნდება სწორი პასუხები. **„შეცდომებზე ნადირობა“** მოსწავლეებს დავავალებ, ერთმანეთის შეცდომები გაასწორონ. იპოვონ მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები. 1. განა არ ვიცი(1) რომ დიდკაცობა ტკბილია? სად თეირანი და სად ახმეტა? იქ ყოლიფერი(2) თვალს იტაცებს, ჩემ(3) გრძნობა-გონებას ჰხიბლავს(4) და კუჭს ატკბობს. აქ(5) ამ პატარა ახმეტაში, მინა, წყალი, მთები, კლდები(6), ტყე და ველი ერთნაირად მახარებს და ჭირს ადვილათ(7) ვიტან. ტკბილია შენი შარბათები(8) მაგრამ ვერ გავცვლი იმ ჩემს ღვინოზე, რომლებიც (9) ჩემი მამა-პაპური (10) სისხლით არის შეფერილი.	**წერითი მუშაობა – შეცდომების გასწორება**	ინდივიდუალური, ჯგუფური	ქვიშის საათი, ლეპტოპი, პროექტორი, ტექსტი რედაქტირებისთვის	10წთ.
6.	**აქტივობა 5.** **საშინაო დავალება** დავავალებ, საკუთარი ფანტაზიით შექმნან წერილობითი ტექსტი სახელმძღვანელოში მითითებული ერთ-ერთი ანდაზის მიხედვით.	ინფორმაციის მიწოდება ვერბალური სახით	საერთო საკლასო	სახელმძღვანელო	1წთ.
7.	**შეფასება** **განმავითარებელი შეფასება.** **განმსაზღვრელი შეფასება** (ვაფასებ იმის მიხედვით, თუ როგორ იმუშავეს მთელი კვირის განმავლობაში). გამოვართმევ ჩანაწერებს, შევადარებ ჩემს ჩანაწერებთან და მეორე დღეს მოვახსენებ ქულებს სათანადო კომენტართან ერთად.	განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება	საერთო საკლასო	შეფასების სქემები, დავალების ფურცლები	3წთ.

შედეგი

მოსწავლეები ამოიცნობენ ავტორის მიერ მიზნობრივად გამოყენებულ სპეციფიკურ ლექსიკას (დიალექტურ ფორმებს, ფრაზეოლოგიზმებს), შეაფასებენ მხატვრულ ხერხებს და ახსნიან მათ დანიშნულებას.

ლია გოგოხია
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, XIII, 1961, გვ.403;
2. კ. დანელია, აკაკი წერეთლის ნააზრევი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე წიგნში: ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ.II, „უნივერსალი“, 2009;
3. თ. სანიკიძე, აკაკი წერეთელი და ქართული ლექსიკის განვითარების საკითხები, თბ., 1984;
4. შ. ძიძიგური, აკაკი წერეთელი და ქართული ენა წიგნში: ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ., 1971;
5. ბ. ჯორბენაძე, აკაკი წერეთელი და ქართული სალიტერატურო ენა წიგნში: ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987.

სპორტი

ხსოვნის ტურნირი სამედიცინო უნივერსიტეტში

ირაკლი თავაძე

თსსუ-ში, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით (სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – **სოლომონ ერგემლიძე**, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი – **ზაურ ფხალაძე**), 27 მარტიდან 16 აპრილის ჩათვლით, გაიმართა ტურნირი მინი-ფეხბურთში (მთავარი მსაჯი – სპორტისა და ხელოვნების ცენტრის თსსუ-ს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე **ვახტანგ ბაქანიძე**), რომელიც ცნობილი სპორტსმენებისა და ამ უმაღლესი სასწავლებლის ამაგდარი თანამშრომლების – მამულო იაშვილისა და მისი მამიდაშვილის – მიხეილ (მახარე) ჟღენტის ხსოვნას მიეძღვნა.

მამულო იაშვილი ცნობილი გინეკოლოგი იყო, 1957-61 წლებში თბილისის „დინამოს“ ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა, მანამდე კი თსსუ-ს გუნდში გამოდიოდა და უამრავი წარმატება მოუტანა თავის გუნდს. 58 წლისა გარდაიცვალა, მისი შვილია ახლო წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი **ალექსანდრე იაშვილი**.

მიხეილ ჟღენტიც თსსუ-ში მუშაობდა და გარდა იმისა, რომ ექიმთა თაობები აღზარდა, წლების განმავლობაში წარმატებით მუშაობდა ამ უმაღლესი სასწავლებლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროს მასწავლებლად.

მათი ხსოვნის ტურნირში თსსუ-ს 12 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც ორ 6-6-გუნდიან ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილები. ტურნირმა დაძაბულად ჩაიარა, ყველა გუნდი ცდილობდა, მაქსიმალურად გამოევლინათ საკუთარი შესაძლებლობები და კარგი თამაშით თავი გამოეჩინათ.

ჯგუფებიდან I-II ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ასე დაწყვილდნენ: „მკურნალი“-„გულაგი“; „მილანი“-„გლადბახი“.

ორივე ნახევარფინალური პაექრობა ძალიან დაძაბული გამოდგა. პირველ წყვილში „გულაგმა“ იყოჩაღა, რომელმაც მეტოქე მინიმალური სხვაობით, 7:6 დაამარცხა. კიდევ უფრო დაძაბული იყო მეორე წყვილის შეხვედრა, სადაც გამარჯვებული პენალტების სერიით გამოვლინდა. აქ ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, საფეხბურთო ლატარეაში კი ბედმა „გლადბახს“ გაუღიმა, რომელმაც პენალტები უკეთ დაარტყა, 5:3 მოიგო და ფინალში გავიდა.

თუმცა, ფინალურ პაექრობას წინ მესამე ადგილისთვის შეხვედრა უძღოდა, რომელიც „მილანმა“ შედარებით იოლად, 4:0 მოუგო „მკურნალს“.

ფინალიც დაძაბული, სანახაობრივი და დრამატულიც კი გამოდგა. შეხვედრისას „გლადბახი“ ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ გააზრებული გუნდური თამაშით „გულაგის“ ფეხბურთელებმა ხელთ იგდეს უპირატესობა და საბოლოოდ 11:7 მოიგეს.

ბუნებრივია, დასახელდნენ ტურნირის გამორჩეული მოთამაშეები: საუკეთესო მეკარე **შოთა ბერიძე** გახდა მედიცინის ფაკულტეტიდან, საუკეთესო გოლის ავტორები – ასევე მედიცინის ფაკულტეტის პირველკურსელები – **გეგი ბაქრაძე** და **გიგა კაპანაძე**. მედიცინის ფაკულტეტის პირველმა კურსმა კიდევ ერთი ტიტული მოიპოვა – ბომბარდირიც მათი წარმომადგენელი **ვასილ კვანჭიანი** გახდა 12 გოლით. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მესამეკურსელი **გიორგი პაიჭაძე** აღიარეს, ხოლო ამავე ფაკულტეტის მეოთხეკურსელი **სოსო გიოშვილი** – ტურნირის ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელად.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები, ცალკეულ ნომინაციებში გამარჯვებული ფეხბურთელები, თასებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ. აღსანიშნავია, რომ თსსუ, უმაღლეს სასწავლებლებს შორის, ერთ-ერთი მონინავეა ჩატარებული ტურნირების რაოდენობით.

სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

11 ლარი

ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაატარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში

წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული



4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული



6 ლარი

ქათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ეროვნული გამოცდებისა და მასწავლებლის

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“

გავიმეოროთ მათემატიკა

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითად სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალაზეა აგებული, თუმცა შევსებულია ამოცანებით. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

19 ლარი
(ერთი ცალი)

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ქართული ენის კრებული

ერეკლეს ბაგრატიონ-ბატონიშვილის ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიის ფასი 17.70 ლ

ეროვნული გამოცდების სიმულაცია

გიორგი მეჟურჟლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

ეროვნული გამოცდების სრული სტანდარტის დაცვით შედგენილი ტესტები აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, გამოცდაზე გასვლამდე, გაიაროს ეროვნული გამოცდების სიმულაცია, ანუ შეძლოს ზუსტად იმ ტიპისა და სირთულის დავალებების შესრულება, როგორიც ეროვნულ გამოცდებზეა.

სახელმძღვანელოში განთავსებულია ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი უნიკალური რუკები, კონკრეტული ისტორიული ეპოქის გასაანალიზებლად.

15 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე
7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე
8 ლარი



თამარ ვასაძე
ქართული აბიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი



თამარ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ვეფხისტყაოსანი ტექსტი და განმარტებები
12 ლარი



ბიოლოგია
საატესტატო გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სარალიძე, ქ. მელრაძე, დ. ნაზირიშვილი
6 ლარი



ფიზიკა
საატესტატო გამოცდებისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერია
10 ლარი

თამარ ბერიზაშვილი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
10 ლარი

„ახალი განათლებისა“ და „დიობენეს“ ეროვნული აქციის სკოლებისთვის



გოლო წლების საერთაშორისო ბესტსელერი, ყველაზე პოპულარული საბავშვო შემეცნებითი წიგნი „რუკები“ 2012 წელს შეიქმნა პოლონეთში და მოიცავს ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური, ზოგადკულტურული ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.

„რუკები“ უნიკალურია, კარგად გააზრებული იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ როგორც სასწავლო-პედაგოგიურ გარემოში, ისე ოჯახში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი კითხვისთვის. „რუკების“ მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თამაშებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი რუკა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ რუკაზე უამრავ საინტერესო ილუსტრაციას და მნიშვნელოვან ფაქტს ალმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.